# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 72 1962 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები


1. „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისათვის ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.
2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 ოქტომბრის № 924 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 დეკემბრის № 1660 დადგენილების მე-16 მუხლის გაუქმების შესახებ.
3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 ნოემბრის № 1031 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
4. სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების მოწესრიგების შესახებ.
5. გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების იმ პირობებში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მეჩაიეობის ხაზით.



F/3630
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



6. საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის მდგომარეობისა და მისი დონის ამაღლების ზომების შესახებ.
7. სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ.
8. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 დეკემბრის № 1107 და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 დეკემბრის № 1091 დადგენილებებთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
9. კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმეში შეზღუდვების გაუქმების შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 914 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
11. შრომისუუნარიანობის ყველა სახის ექსპერტიზის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში თავმოყრის შესახებ.
12. იმ პირთა გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელთაც დიდი შემოსავალი აქვთ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებიდან.
13. „წყლისა და ქარის ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 ივნისის № 382 დადგენილებასთან დაკავშირებული საკითხები.
14. საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.
15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 ნოემბრის № 1020 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების დამატების შესახებ.
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს (საქართველოს სსრ ცსს) და საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების დებულების დამატების შესახებ.
18. „საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულების" ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
19. „ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირადი საკუთრების პირუტყვის და ფუტკრის ოჯახის ზღვრული რაოდენობის დაწესების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 იანვრის ბრძანებულების შეფარდების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
21. აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.
22. ცალკეული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების შეზღუდვის შესახებ.
23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 დეკემბრის № 747 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
24. კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების, ლითონისა და ლითონის ნაკეთობათა მიყიდვის მოწესრიგების შესახებ.
25. ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბების საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და კეთილმოწყობისათვის სახსრების ხარჯვისადმი კონტროლის გაუმჯობესების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
* თბილისი *

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

# დადგენილებები

**1** „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისათვის ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, მოვლა და შენახვა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სამელიორაციო სადგურებში.

ბევრი მექანიზატორი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ცვლისა და სეზონურ ნორმებს, მაღალნაყოფიერად იყენებს მანქანებს და მზრუნველობით ეკიდება ტექნიკას.

ამასთან ერთად მექანიზატორები და თანამდებობების პირები დაუდევრად ეკიდებიან ტრაქტორებს, ავტომობილებს, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორები და სხვა მანქანები ცუდი მოვლა-შენახვის გამო იძლევიან დაბალ ნაყოფიერებას და ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და შენახვის საქმეში უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 29 დეკემბერს მიიღო ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისათვის ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ".

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს:

ა) ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სამელიორაციო სადგურების მუშებს, მექანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტორებსა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებას „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისათვის ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ";

ბ) მოაწყონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სამელიორაციო სადგურებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების, მოვლისა და შენახვის მდგომარეობის მთლიანი შემოწმება, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებისა და მისი შენახვის საქმის მოწესრიგებისათვის;

გ) განიხილონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისა და შენახვის ყოველი ცალკეული შემთხვევა და მისცენ დამნაშავენი პასუხისგებაში, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებისა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისათვის ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ".

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1962 წ. 5 იანვარი, № 2

## 2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 ოქტომბრის № 924 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 დეკემბრის № 1660 დადგენილების მე-16 მუხლის გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 ოქტომბრის № 924 დადგენილებისა „ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 აგვისტოს № 851 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გენილებების გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხ. 16 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 დეკემბრის № 1660 დადგენილებისა „საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. კუჩავა.

ქ. თბილისი, 1962 წ. 9 იანვარი, № 23

## 3 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 ნოემბრის № 1031 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 ნოემბრის № 1020 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 ნოემბრის № 1031 დადგენილებისა „იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გაუქმების თაობაზე“ და ამავე საკითხზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 ნოემბრის № 1020 დადგენილებისა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „1944 წლისათვის სამრეწველო საწარმოების დამხმარე მეურნეობათა განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 26 მარტის № 311 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944

ეროვნული ბიბლიოთეკა



წლის 12 აპრილის № 371 დადგენილების V განაყოფის მე-5 მუხლი;

ბ) მუხ. 9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აგვისტოს № 1004 დადგენილებისა „1951—1955 წლებისათვის მატყლის დამზადების გადიდებისა და მეცხვარეობის განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 ივნისის № 2167 დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“;

გ) „1953—1955 წლებში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების და დამზადების გადიდების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 27 ნოემბრის № 1615 დადგენილების II განაყოფის 4 და 5 მუხლები;

დ) მუხ. 16. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 ივნისის № 540 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და მათი რენტაბელობის ამაღლების შესახებ“;

ე) „შაქრის ჭარხლის წარმოების და შაქრის გამომუშავების გადიდების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 ივნისის № 311 დადგენილების მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ა“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დასამზადებელი ფასის დაწესებას საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისათვის.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 ნოემბრის № 1031 დადგენილებით გაუქმებულია:

ა) „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და მათი რენტაბელობის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 15 აპრილის № 727 დადგენილების მუხ. 45 იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მარცვლის, ნედლი ბრინჯის, სოიას, მზესუმზირას, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის ხორცის, სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის ჩასაბარებელი კვერცხის, მატყლის (გარდა ყარაკულის ცხვრის მქისე მატყლისა), ხილის, კენკრის, ყურძნის, ბაღჩეული კულტურების და სოფლის მეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რნეობის დამხმარე დარგების სხვა პროდუქციის ფასებს, აგრეთვე იმ ნაწილში, რომელიც შეეხება იმ რძის ფასებს, რომელსაც აბარებენ ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ და კარელიის ასსრ საბჭოთა მეურნეობები;

ბ) მუხლები 3 და 4 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 1 დეკემბრის № 1988 დადგენილებისა „მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, თხისა და კურდღლის დასამზადებელი და შესასყიდი ფასების შესახებ, რომლებსაც აბარებენ კოლმეურნეობები, კოლმეურნეთა მეურნეობები და სხვა მოქალაქენი ხორცის ჩაბარების ანგარიშში და საბჭოთა მეურნეობები — სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმის ანგარიშში“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 9 იანვარი, № 24

## 4 სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ოქტომბრის № 947 დადგენილება „სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების მოწესრიგების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მატერიალური ბალანსების შედგენის გაუმჯობესება, ნედლეულსა, მასალებსა და მოწყობილობაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და მისი ცალკეული დარგების მოთხოვნილების შესწავლის დონის ამაღლება და ამის საფუძველზე იმის უზრუნველყოფა, რომ წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმები რაც შეიძლება უფრო სრულად იქნას შეთანხმებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებთან.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წარმოებისა და მშენებლობის წლიური გეგმების პროექტების შემუშავების დროს იხელმძღვანელოს ძირითადი სახის მატერიალური რესურსების მოხმარების წინასწარი ლიმიტებით და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინოს მოხმარების აღნიშნულ ლიმიტებთან შეთანხმებული წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების პროექტები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმართოს რესპუბლიკისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსები გეგმის უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესასრულებლად, არ დაუშვას მათი დაქსაქსვა და მეორეხარისხოვანი საჭიროებისათვის გამოყენება, მკაცრი კონტროლი გაუწიოს იმას, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, მშენებლობებმა და სხვა ორგანიზაციებმა პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენონ ნედლეული, მასალები და მოწყობილობა.

5. ვინაიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა შეასუსტეს კონტროლი ძალზე დეფიციტური მასალების მომჭირნეობით ხარჯვისადმი და შეანელეს გადამწყვეტი ბრძოლა მათ გამოყენებაში ზედმეტობის წინააღმდეგ, დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მასალების ხარჯვის ნორმირებისა და ეკონომიის ქვეგანყოფილებას იმისადმი კონტროლი, რომ სწორად იქნას გამოყენებული აღნიშნული მასალები სახალხო მეურნეობაში, ამასთან დაკავშირებით გაუქმებულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ნიკელისა და

ძალზე დეფიციტური ფერადი ლითონების ეკონომიის საუწყებათაშორისო კომისია.

6. იმ მიზნით, რომ დამყარდეს უფრო მტკიცე სამეურნეო კავშირურთიერთობა მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის, უზრუნველყოფილ იქნას მომხმარებელთა უკეთ დაკმაყოფილება მატერიალური რესურსებით და დაჩქარდეს პროდუქციის მიწოდება რესპუბლიკის მომხმარებლებისათვის, დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს 1962 წლის 1 აპრილამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად გეგმები ძირითადი მომხმარებელი საწარმოების მიმაგრებისა მიმწოდებელ საწარმოებზე ხანგრძლივი ვადით, ამასთან იქონიოს მხედველობაში რაციონალური მყარი სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის შემდგომი გაფართოება მომხმარებელ საწარმოებსა და მიმწოდებელ საწარმოებს შორის რესპუბლიკის შიგნით.

დაწესდეს, რომ საწარმოებს შორის პროდუქციის მიწოდების საქმეში დამყარებული მჭიდრო პირდაპირი კავშირ-ურთიერთობის შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მარტო მას შემდეგ, რაც გულმოდგინედ იქნება შემოწმებული ახალი მიმწოდებლის მზადყოფნა მიწოდებათა დავალების შესრულებისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, ორი თვის ვადაში წამოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების სისტემის გამარტივების, ამ სისტემაში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანოების მუშაობაში არსებული პარალელიზმის აღმოფხვრის შესახებ.

8. იმ მომხმარებელთა უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც მცირე რაოდენობით იღებენ მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე ტრანზიტული ნორმების ოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს კაპიტალურ დაბანდებათა 1963—1965 წლების გეგმებით სპეციალიზებული ბაზებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და საწყობების მშენებლობა მრეწველობის შესაბამისი დარგების ხარჯზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს გააძლიეროს მუშაობა სარესპუბლიკათაშორისო და შიგარესპუბლიკური მიწოდების გეგმის შესრულებისათვის და ყოველკვარტალურად წარუდგინოს ანგარიში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მიწოდებათა გეგმის შესრულების შესახებ.

10. წარმოებასა და მშენებლობაში ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმირების საქმის გაუმჯობესებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მეტად დეფიციტური მასალების მომჭირნეობის მიზნით:

ა) დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მასალების ხარჯვის ნორმირებისა და ეკონომიის ქვეგანყოფილებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირებისა და ეკონომიის კონტროლის, კოორდინაციისა და მეთოდური ხელმძღვანელობის მოვალეობანი;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ საწარმოებში არსებული მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების ბიუროების ან ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, ხოლო იქ, სადაც ასეთი ქვედანაყოფები არ არის, შექმნან ახალი ქვედანაყოფები.

დაეკისროთ აღნიშნულ ბიუროებს ან ჯგუფებს ხარჯვის იმ დეტალობრივი და ოპერაციული ნორმის შემოწმება, რომლებსაც ტექნოლოგები შეიმუშავებენ, ნაკეთობათა და პროდუქციის სახეობათა შეჯამებითი ნორმების და საშუალოაწონილი ჯგუფური ნორმების დადგენა, მატერიალური რესურსების ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების შედგენა და მათი შესრულების კონტროლი, ანალიზი საანგარიშო მონაცემებისა წარმოებაში მასალების ფაქტიური ხვედრითი ხარჯვის შესახებ პროდუქციის სახეობათა მიხედვით, საწარმოში ხარჯვის ნორმების ეკონომიურობის განსაზღვრა დაგეგმილი პერიოდისათვის და იმისადმი კონტროლი, რომ დაინერგოს და შესრულდეს წარმოებაში ხარჯვის დაწესებული ნორმები.

საწარმოებში ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმირებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ მთავარ ტექნოლოგებს ან მთავარ ინჟინრებს და სამშენებლო ორგანიზაციებში — ტრესტების (სამმართველოების) მთავარ ინჟინრებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ) შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივ სამმართველოებში მასალების ხარჯვის ნორმირების ჯგუფები (ტექნიკურ განყოფილებათა შემადგენლობაში), რომლებსაც დაეკისროთ საწარმოების მიერ წარმოდგენილი შეჯამებითი და საჭიროების დროს — ხარჯვის დეტალობრივი ნორმების შემოწმება პროდუქციის სახეობათა მიხედვით, საშუალოაწონილი ნორმების, ეკონომიის ოდენობისა და დარგების მიხედვით ხარჯვის საშუალო შემცირების განსაზღვრა;

დ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალურ აპარატში შეიქმნას მასალათა ხარჯვის ნორმირების განყოფილებები (იქ, სადაც ეს საჭიროა), სექტორები ტექნიკური სამმართველოების (განყოფილებების) შემადგენლობაში და შესაბამისად კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებში. დაეკისროთ ამ განყოფილებებს (სექტორებს) მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირებისა და ეკონომიის საქმის ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა, მოწინავე გამოცდილების განზოგადება და გავრცელება, მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენა დადგენილი წესით და დაწესებული ნორმების შესრულებისადმი კონტროლი;

ე) დაწესდეს, რომ მასალების ხარჯვის ნორმირების სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნა საწარმოებში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში, სამინისტროებსა და უწყებებში უნდა მოხდეს შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის ფარგლებში.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ყოველწლიურად 15 მარტისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საჭირო გაანგარიშებებით წარმოებაში ხარჯვის ინდივიდუალური, მატერიალურად ყველაზე ტევადი ნორმები პროდუქციის იმ ნომენკლატურის მიხედვით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

12. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობას ეკისრება პასუხისმგებლობა მატერიალური რესურსების ხარჯვის აშკარად გადიდებული ნორმების წარდგენისათვის.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომისიამ გაითვალისწინოს 1962 წლიდან „საქონელმცოდნეობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების“ საქმის სპეციალისტთა მომზადების გაფართოება.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მომარაგებისა და მატერიალური ბალანსების შეჯამებითი გეგმების განყოფილების გარდაქმნისა მომარაგებისა და მატერიალური ბალანსების შეჯამებითი გეგმების სამმართველოდ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 9 იანვარი, № 39

ასლი

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 947

**1961 წლის 13 ოქტომბერი**

მოსკოვი, კრემლი

**სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების მოწესრიგების შესახებ**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის გამოყენება სახალხო მეურნეობაში, ამაღლდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვისა და ორგანიზაციის დონე, გაუმჯობესდა უმეტესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის მიწოდების გეგმების შესრულება, მაგრამ, მრეწველობის განვითარების მიღწეული მაღალი დონისა და ლითონის, მანქანათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მშენებლობის ნაკეთობათა და სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური საგრძნობი ზრდის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ იგრძნობა შავი და ფერადი ლითონების, მილების, ცალკეული სახის მოწყობილობისა და მანქანების, სინთეზური და ზოგიერთი სხვა მასალის მწვავე ნაკლებობა, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების წინმსწრები განვითარებით, შვიდწლიანი გეგმის დავალებებთან შედარებით. ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის ნედლეულისა და მასალების მხრივ ადგილი აქვს შეფერხებას მრეწველობის მომარაგების საქმეში, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნის საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობაში.

ამ სიძნელეებს კიდევ ის გარემოება ართულებს, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საქმეს, აგრეთვე მომარაგებისა და გასაღების ორგანოების ოპერატიულ მუშაობას გეგმის შესრულებისადმი კონტროლის დარგში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ერთ-ერთ მთავარ ნაკლს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ზოგიერთი სახეობის დეფიციტური მასალებისა და ნედლეულის მხრივ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სრული შეთანხმებულობა და შესაბამისობა წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის მოცულობასა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს შორის.

როდესაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ამუშავებს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ძირითად მაჩვენებლებს, დაგეგმილი წლისათვის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი აწესებს და აცნობებს მოკავშირე რესპუბლიკებს მთლიანად შავი ლითონების ნაგლინის მოხმარების წინასწარ ლიმიტებს ისე, რომ არ გამოყოფს ძირითადი სახეობის სორტამენტს, მოწყობილობას, არ ახდენს საკმაო დეტალიზაციას ჯგუფებისა და ტიპზომების მიხედვით, რაც წარმოშობს დამატებით სიძნელეებს იმ მხრივ, რომ შეთანხმებულ იქნას ერთმანეთთან გეგმის ძირითადი განაყოფები მისი შემუშავების წინასწარი სტადიისათვის და პირველ რიგში მანქანათმშენებლობის პროგრამისათვის.,

სამრეწველო პროდუქციის განსაზღვრული ნომენკლატურა, რომლის მიხედვითაც მუშავდება წარმოების წინასწარი მოცულობა და მოხმარების ლიმიტები, აგრეთვე აძნელებს წარმოების,

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაპიტალური მშენებლობის გეგმების შეთანხმებას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებთან.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის სამინისტროების განაცხადები მასალებსა და მოწყობილობაზე, როგორც წესი, მნიშვნელოვნად აღემატება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დაწესებულ მოხმარების წინასწარ ლიმიტებს და ნამდვილ მოთხოვნილებას. მაგალითად, 1961 წლის გეგმის პროექტის შემუშავების დროს რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის სამინისტროების მიერ განცხადებული მოთხოვნილება შავი ლითონების ნაგლინზე დაუსაბუთებლად იყო გადიდებული 3,5 მილიონი ტონით, ხოლო ფოლადის მილებზე — დაახლოებით 700 ათასი ტონით.

ძირითად მიზეზს, რაც იწვევს დაძაბულობას წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის დაწესებული გეგმების შესრულებაში, წარმოადგენს ის გარემოება, რომ მომხმარებლებს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ ნედლეულისა და მასალების, პირველ რიგში შავი და ფერადი ლითონების, მილების, კაბელის ნაკეთობათა, მთელი რიგი ქიმიკატებისა და ზოგიერთი სხვა მასალის საწარმოო მარაგი.

უკანასკნელ წლებში სრულად როდია უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსებით სახალხო მეურნეობის სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებანი, რაც ხელს უწყობს ძირითადი ფონდების ნაადრევად გაცვეთას, იწვევს მოწყობილობის გაცდენას და აიძულებს გამოიყენონ რემონტისათვის მასალები, რომლებიც განკუთვნილია ძირითადი საწარმოო პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად.

შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარების მაღალი ტემპების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ მოიპოვება საკმაო რაოდენობის შავი და ფერადი ლითონები იმისათვის, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს მანქანათმშენებლობის, კაპიტალური მშენებლობის, ექსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა სწრაფად მზარდ საჭიროებათა მოთხოვნილებანი.

ამასთან დაკავშირებით, სრულად არ ხდება არსებულ სიმძლავრეთა გამოყენება მანქანათმშენებლობაში და ფერხდება ინდუსტრიალიზაციის ფართოდ განვითარება მშენებლობაში.

საწარმოთა მშენებლობაში ახალი კონსტრუქციის მანქანებისა და მოწყობილობის შექმნის დროს ძალზე დეფიციტური მასალების გამოყენებაში სათანადო წესრიგის უქონლობა იმას იწვევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ ბევრი საკონსტრუქტორო ბიურო და საპროექტო ორგანიზაცია დაუსაბუთებლად და ფართოდ იყენებს კონსტრუქციებში ძალზე დეფიციტური სახის ლითონს, მილებსა და სხვა მეტად დეფიციტურ მასალებს.

სახალხო მეურნეობის საბჭოების უმეტესობაში და საწარმოებში დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი მუშაობა ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმირებისათვის საწარმოებსა და კაპიტალურ მშენებლობაში. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებში არ არის შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც უხელმძღვანელებენ ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმების შედგენას და კონტროლს გაუწევენ მათ გამოყენებას. ამის გამო საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების პროექტების შემუშავების დროს სახალხო მეურნეობის საბჭოები და საგეგმო ორგანოები სარგებლობენ მთელ რიგ შემთხვევებში ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მოძველებული და გადიდებული ნორმებით, რომლებშიაც არ არის გათვალისწინებული ტექნიკისა და წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის უკანასკნელი მიღწევები.

მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში სერიოზულ ნაკლოვანებებს იმიტომაც აქვს ადგილი, რომ არსებული წესის დროს, როდესაც იმ სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურის უმეტესი ნაწილის წარმოების გეგმებს, რომელიც შეტანილია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმებში, ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, რომლებსაც ხშირად თავიანთი შეხედულებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეუთანხმებლად, შეაქვთ ცვლილებანი წარმოების გეგმებში. ეს არის სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა სახალხო მეურნეობის საბჭოების მიერ მიწოდების დაწესებული გეგმების, აგრეთვე კოოპერაციის წესით მიწოდების გეგმების შესრულებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ, არაერთხელ მიცემულ მითითებათა მიუხედავად, მოკავშირე რესპუბლიკები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები და უწყებები ყოველთვის როდი იყენებენ მთლიანად გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს სახალხო მეურნეობის პირველხარისხოვან და უმნიშვნელოვანეს საჭიროებათა უზრუნველსაყოფად. ამ რესურსებს ხშირად ქსაქსავენ და იყენებენ მეორეხარისხოვან საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად,

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაც იწვევს სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების არასწორად გამოყენებას.

მშენებლობის ვადების გაჭიანურება, ტექნოლოგიური პროცესების შემუშავების არასაკმაო დონე, მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგი მათი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს აგრეთვე იწვევს ნედლეულისა და მასალების უნაყოფო ხარჯვას.

მომარაგებისა და გასაღების საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მომხმარებელ საწარმოებსა და მიმწოდებელ საწარმოებს შორის ხანგრძლივი და მტკიცე სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებას. ამავე დროს ასეთი კავშირ-ურთიერთობის ფართოდ განვითარება საშუალებას მოგვცემდა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებს წარმოადგენენ მომარაგებისა და გასაღების დიდძალი ორგანოების არსებობა ადგილებზე, პარალელიზმი და დუბლირება მათს მუშაობაში, აგრეთვე ფუნქციებისა და მოვალეობათა არასაკმაო ზუსტად განსაზღვრა სხვადასხვა რგოლებს შორის ამ ორგანოების სისტემაში. ჩვენი ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრებში დღემდეც არის რამდენიმე ათეული, ზოგიერთ მათგანში კი — ასეულზე მეტი მომარაგება-გასაღების სხვადასხვა ორგანოები, რომლებიც ექვემდებარებიან საკავშირო, რესპუბლიკურ და საოლქო ორგანიზაციებს.

ის გარემოება, რომ მომარაგებისა და გასაღების საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოებს შორის არ არსებობს ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა, აძნელებს კონტროლს და ამცირებს მოკავშირე რესპუბლიკების როლსა და პასუხისმგებლობას სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმების შესრულებისათვის.

საკავშირო და რესპუბლიკური მაკომპლექტებელი ორგანიზაციების მუშაობაშიც ჯერ კიდევ არის დუბლირების ბევრი ელემენტი, რაც აუარესებს განსაკუთრებული მნიშვნელობის მშენებლობებისა და ასამუშავებელი ობიექტების კომპლექტურ უზრუნველყოფას ტექნოლოგიური მოწყობილობით.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების საქმეში, უზრუნველყოფილ იქნას წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების უკეთ შეთანხმება მომარაგების გეგმებთან, მოხდეს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარაგებისა და გასაღების აპარატში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაცია, აღმოიფხვრას პარალელიზმი მომარაგება-გასაღების საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების მუშაობაში და განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა მატერიალური რესურსების მიწოდების გეგმების შესრულების საქმეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

**მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვა და ორგანიზაცია**

1. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მატერიალური ბალანსების შედგენის გაუმჯობესება, ნედლეულსა, მასალებსა და მოწყობილობაზე სახალხო მეურნეობის და მისი ცალკეული დარგების მოთხოვნილების შესწავლის დონის ამაღლება და ამ საფუძველზე იმის უზრუნველყოფა, რომ რაც შეიძლება სრულად იქნას შეთანხმებული წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებთან.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებით გააფართოონ იმ პროდუქციის ნომენკლატურა, რომლის მიხედვითაც მუშავდება წარმოების წინასწარი მოცულობა და მოხმარების ლიმიტები, ამასთან იქონიოს მხედველობაში ამ ნომენკლატურის დეტალიზაცია სორტამენტის, პროდუქციის ჯგუფური დახასიათებისა და ტიპზომების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების პროექტების შემუშავების დროს იხელმძღვანელონ ძირითადი სახის მატერიალური რესურსების მოხმარების წინასწარი ლიმიტებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინონ წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების პროექტები, შეთანხმებული მოხმარების აღნიშნულ ლიმიტებთან.

3. საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების შეუფერხებელი და გეგმაზომიერი მუშაობისათვის პირობების შექმნის, მოწყობილობის უკეთ გამოყენებისა და ძირითადი ფონდების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს სსრ კავშირის სახელ-

მწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1962-1965 წლების გეგმების პროექტებით ძირითადი სახის ნედლეულისა და მასალების საწარმოო მარაგის გადიდება წარმოებაში და მშენებლობაში მომხმარებლებთან, პირველ რიგში შავი ლითონების ნაგლინისა და მილებისა, აგრეთვე გააუმჯობესონ სახალხო მეურნეობის სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებათა უზრუნველყოფა მატერიალური რესურსებით ეკონომიურად დასაბუთებული ნორმების ბაზაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების და შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მონაწილეობით ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ მეთოდიკა ნედლეულის და მასალების საწარმოო მარაგის დიფერენცირებული ნორმების დაგეგმვისა მომხმარებლებთან წარმოებასა და მშენებლობაში, აგრეთვე მეთოდიკა ძირითადი სახის ნედლეულის და მასალების ხარჯვის ნორმების შედგენისა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის.

4. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებით ითვალისწინებს არასაკმაო რეზერვებს ზოგიერთი სახეობის მასალებისა და მოწყობილობისათვის, რაც ქმნის სიძნელეებს წლის განმავლობაში წამოჭრილ სამეურნეო საჭიროებათა უზრუნველყოფის საქმეში.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წლიური მატერიალური ბალანსების პროექტების შემუშავების დროს გაითვალისწინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფრო მნიშვნელოვანი რეზერვების შექმნა უმნიშვნელოვანესი სახის სამრეწველო პროდუქციისა იმ ოდენობით, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის მიმდინარე საჭიროებანი.

5. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვის დონე და უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი უმნიშვნელოვანესი სახის მასალებსა და მოწყობილობაზე;

ა) დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გააფართოოს იმ პროდუქციის ნომენკლატურა, რომლისათვის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლანსებსა და განაწილების გეგმებს ამუშავებს უშუალოდ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ამასთან შეიტანოს ამ ნომენკლატურაში ყველაზე მნიშვნელოვანი და დეფიციტური ნედლეული, მასალები, მოწყობილობა და მაკომპლექტებელი ნაკეთობანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს აღნიშნული პროდუქციის ნომენკლატურა;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 იანვრის № 87 დადგენილების № 1 დანართის მე-6 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ იმ პროდუქციის წარმოების გეგმებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით, მაგრამ შეტანილია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებში, დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად სამი თვის ვადაში დააწესოს იმ პროდუქციის ნომენკლატურა, რომლის წარმოების გეგმებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებით.

აღნიშნული პროდუქციის წარმოების გეგმებში ცვლილებების შეტანა პროდუქციის რაოდენობის, ასორტიმენტისა და დამზადების ვადების მხრივ შეუძლიათ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს, რაც უნდა ეცნობოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მაგრამ ამასთან არ უნდა შეიცვალოს სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმები. აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმები.

6. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მოახმარონ მათთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსები გეგმის უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულებას, ამასთან არ დაუშვან მათი დაქსაქსვა და მეორეხარისხოვანი საჭიროებისათვის გამოყენება,

კონტროლი გაუწიონ იმას, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, მშენებლობებმა და სხვა ორგანიზაციებმა პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენონ ნედლეული, მასალები და მოწყობილობა.

7. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეასუსტეს კონტროლი ძლიერ დეფიციტური მასალების მომჭირნეობით ხარჯვისადმი და არ ეწევიან გადამწყვეტ ბრძოლას ამ მასალების გამოყენებაში ზედმეტობის წინააღმდეგ.

დაწესდეს, რომ ახალი მანქანების კონსტრუქციებსა და მშენებლობაში ფერადი ლითონების, შავი ლითონების დეფიციტური სახის ნაგლინისა და მილების, აგრეთვე სინთეზური და სხვა მასალების გამოყენების საკითხი უნდა გადაწყვიტონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისმა სახელმწიფო კომიტეტებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაწილეობით.

დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს იმისადმი კონტროლი, რომ სწორად იქნას გამოყენებული აღნიშნული მასალები სახალხო მეურნეობაში.

ამასთან დაკავშირებით მოეწყოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ძლიერ დეფიციტური მასალების ეკონომიის განყოფილება. გაუქმდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ნიკელისა და სხვა ძლიერ დეფიციტური ფერადი ლითონების ეკონომიის საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც შექმნილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აგვისტოს № 954-443 დადგენილების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა სახელმწიფო კომიტეტებმა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ერთი თვის ვადაში განიხილონ საკითხი, რომ შეიქმნას ამ კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებში შესაბამისი ქვედანაყოფები, რომლებიც იმუშავებენ ძლიერ დეფიციტური მასალების ეკონომიის საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში დააწესონ ძლიერ დეფიციტური მასალების ნომენკლატურა, შეიმუშაონ და დაამტკიცონ ინსტრუქცია ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანების კონსტრუქციებსა და მშენებლობაში ძლიერ დეფიციტური მასალების გამოყენების წესის შესახებ.

8. იმ მიზნით, რომ დამყარდეს უფრო მტკიცე სამეურნეო კავშირი მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის, უზრუნველყოფილ იქნას მომხმარებელთა უკეთ დაკმაყოფილება მატერიალური რესურსებით (მათთვის საჭირო ნომენკლატურით) და დაჩქარდეს მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდება, დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცონ გეგმები ძირითადი მომხმარებელი საწარმოების მიმაგრებისა მიმწოდებელ საწარმოებზე ხანგრძლივი დროით, ამასთან იქონიონ მხედველობაში რაციონალური მტკიცე სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის შემდგომი გაფართოება მომხმარებელ საწარმოებსა და მიმწოდებელ საწარმოებს შორის რესპუბლიკის შიგნით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ამავე ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს გეგმები მომხმარებელი საწარმოების მიმაგრებისა ხანგრძლივი ვადით იმ პროდუქციის მიმწოდებელ საწარმოებზე, რომელიც შეტანილია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმებში.

დაწესდეს რომ საწარმოებს შორის პროდუქციის მიწოდების საკითხზე შექმნილი მტკიცე პირდაპირი კავშირ-ურთიერთობის შეცვლა შეიძლება მოხდეს მარტო განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულმოდგინედ იქნება შემოწმებული ახალი მიმწოდებლის მზადყოფნა მიწოდების დავალების შესრულებისათვის.

აღნიშნული ცვლილებანი შეიძლება შეტანილ იქნას შიგარესპუბლიკურ მიწოდებაში მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოების ან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების ნებართვით, ხოლო სარესპუბლიკათაშორისო მიწოდებასა და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდებაში — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნებართვით.

9. მოკავშირე რესპუბლიკებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების სისტემის გამარტივების, ამ სისტემაში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციისა და მომარაგება-გასაღების ორგანოების მუშაობაში არსებული პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით, არასწორად ჩაითვალოს მთელ რიგ ეკონომიურ ადმინისტრაციულ-რაიონებში არსებობა

პარალელურად მოქმედი კანტორებისა და ბაზებისა, რომლებიც ეკუთვნით მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, ეკონ. ადმ. რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს სამინისტროებსა და უწყებებს. დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეკონომიურ-ადმინისტრაციულ რაიონებში უნდა იყოს, როგორც წესი, ერთიანი ქსელი ორგანოებისა, რომლებიც ამარაგებენ რესპუბლიკის და ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის მომხმარებლებს (უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად) სამრეწველო პროდუქციით არასატრანზიტო რაოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა სამი თვის ვადაში გადასინჯონ რესპუბლიკებში, ეკონომიურ-ადმინისტრაციულ რაიონებში, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებში არსებული მომარაგება-გასაღების ორგანოების ქსელი და გადაწყვიტონ კანტორებისა და ბაზების დაქვემდებარების საკითხი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა ამ ორგანოების სისტემის მოწესრიგება და გამარტივება და მომარაგება-გასაღების პარალელურად მოქმედი კანტორებისა და ბაზების გაუქმება, გარდა რესპუბლიკური ნავთობმარაგგასაღების ორგანოების, „სოფლტექნიკის" სისტემის გაერთიანებათა ბაზებისა და კანტორებისა, აგრეთვე რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ორგანოებისა და იმ ორგანოებისა, რომლებიც მომსახურებას უწევენ საოლქო აღმასკომების საჭიროებებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარ სამმართველოებს მიამაგრონ მოკავშირე რესპუბლიკების მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოებთან და სახალხო მეურნეობის საბჭოებთან შეთანხმებით სახალხო მეურნეობის საბჭოების ბაზებსა და კანტორებს სხვა ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების და მოკავშირე რესპუბლიკების მომხმარებლები.

10. იმ მომხმარებელთა უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც მცირე რაოდენობით იღებენ მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე ტრანზიტული ნორმების ოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით, დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაამტკიცონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტ-

თან შეთანხმებით მომარაგება-გასაღების საწყობებისა და ბაზების მშენებლობის 1962-1965 წლების გეგმა, ამასთან იქონიონ მხედველობაში სპეციალიზებული ბაზებისა და საწყობების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, მათი სწორი განლაგება რაიონებში, აგრეთვე გაითვალისწინონ საბითუმო-საცალო მაღაზიების მოწყობა ზოგიერთი სახის პროდუქციის გასაყიდად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ აღნიშნული ბაზებისა და საწყობების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა მრეწველობის შესაბამისი დარგების ხარჯზე.

უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გააერთიანონ ბაზებისა და საწყობების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც გამოყოფილია ამ მიზნებისათვის მრეწველობის სათანადო დარგების მიხედვით.

11. იმ მიზნით, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს მომარაგება-გასაღების საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოებს შორის სახალხო მეურნეობისათვის პროდუქციის მიწოდების ფუნქციები:

ა) დაწესდეს, რომ უახლოეს 2-3 წლის განმავლობაში წარმოების დატვირთვას უნდა ახორციელებდნენ ცენტრალიზებულად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოები, მომარაგება-გასაღების რესპუბლიკური ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, მხოლოდ ძირითადი სახეობის ლითონის პროდუქციის, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის ნაკეთობების, ქიმიკატების, რეზინა-ტექნიკური ნაკეთობების, ძირითადი საშენი მასალების, ქიმიური ბოჭკოების, ბამბისა და ზოგიერთი სხვა სახეობის ნედლეულის მიხედვით მსუბუქი მრეწველობისათვის.

ამავე პერიოდში აღნიშნული პროდუქციის მიწოდების განრიგებს გასცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ორი თვის ვადაში დაამტკიცოს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან შეთანხმებით აღნიშნული პროდუქციის ნუსხა, წარმოების დატვირთვის, შეკვეთების განაწილებისა და პროდუქციის მიწოდების განრიგების გაცემის წესი;

ბ) დაწესდეს, რომ წარმოების დატვირთვის ნავთობპროდუქტებით, კოქსით, ზოგიერთი სახის ლითონპროდუქციითა და საშენი მასალებით, თუჯის, ცეცხლგამძლე, ქვანახშირის, ხე-ტყის მასალებით, ნედლეულით კვების მრეწველობისათვის, მსუბუქი მრეწველობის ნახევარფაბრიკატებითა და ნაკეთობებით და სხვა სახის პროდუქციით, რაც არ არის გათვალისწინებული „ა“ ქვეპუნქტით, აწარმოებენ მომარაგება-გასაღების რესპუბლიკური ორგანოები სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმების საფუძველზე, რომლებსაც შეიმუშავებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების სათანადო მთავარი სამმართველოები და დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

12. დაეკისროთ სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოებს და მომარაგება-გასაღების რესპუბლიკურ ორგანოებს პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის საბჭოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის, სხვა რესპუბლიკების საწარმოებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის პროდუქციის გაგზავნისათვის, აგრეთვე იმისადმი კონტროლი, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებმა სწორად გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსები.

13. დაეკისროთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარ სამმართველოებს:

ა) მატერიალური ბალანსების შემუშავება მათ მიერ გასანაწილებელი პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით და სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო მიწოდების გეგმების შედგენა მთელი ცენტრალიზებულად გასანაწილებელი პროდუქციის მიხედვით;

ბ) ცვლილებების შეტანა საჭიროების დროს სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების ვადებისა და პროდუქციის ასორტიმენტის მიხედვით, წარმოებისა და მიწოდების გეგმების და დაწესებული ნომენკლატურის ფარგლებში;

გ) სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების გეგმების შესრულებისადმი კონტროლი და საჭირო ზომების მიღება ამ გეგმების შესრულების

უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მატერიალური რესურსების გამოყენების შემოწმება.

14. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, ეკონ. ადმ. რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მიმწოდებელ ქარხნებს პირველ რიგში დაამზადონ და მიაწოდონ მოწყობილობა, ხელსაწყოები, კაბელისა და სხვა ნაკეთობანი მშენებლობებს, რომლებსაც აკომპლექტებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული „სოიუზგლავკომპლექტები" და ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს „გლავენერგოკომპლექტი", მიწოდების დაწესებული გეგმების შესაბამისად.

15. იმ მიზნით, რომ უფრო უკეთ და უფრო კომპლექტურად იქნას უზრუნველყოფილი კაპიტალური მშენებლობა მოწყობილობით, ხელსაწყოებითა და საკაბელო ნაკეთობებით:

ა) საჭიროდ ჩაითვალოს არასტანდარტიზებული მოწყობილობის წარმოების გათვალისწინება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით, რისთვისაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ არასტანდარტიზებული მოწყობილობის წარმოების დაგეგმვისა და აღრიცხვის და ამ წარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესი;

ბ) დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან და სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1962 წლის განმავლობაში იმ მოწყობილობისა და ტექნოლოგიური დანადგარების სია, რომლებიც უნდა მიეწოდოს მშენებლობებს გამსხვილებული კომპლექტებით, მოწყობილობის მიმწოდებელი მთავარი ქარხნების აღნიშვნით.

## მატერიალური სახსრების ხარჯვის ნორმირება

16. სახალხო მეურნეობაში ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმირების საქმის ძირეულად გაუმჯობესების, ტექნიკურად და ეკონომიურად დასაბუთებული ნორმების დანერგვის, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების და ცალკეული სახეობის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტერიალურ რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების განსაზღვრის დონის ამაღლების მიზნით, დადგენილ იქნას ხარჯვის ნორმების შემუშავებისა და დამტკიცების შემდეგი წესი:

ა) გამოშვებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ერთეულზე ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები უნდა იყოს პროგრესული და ტექნიკურად დასაბუთებული, შეესაბამებოდეს მოწინავე ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონეს. ნორმების შემუშავება უნდა ხდებოდეს პირველადი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის, ექსპერიმენტულად შემოწმებული დახასიათებებისა და ტექნიკურ გაანგარიშებათა საფუძველზე და მოწინავე საწარმოებში მიღწეული მატერიალური რესურსების ხვედრითი ხარჯვის საფუძველზე;

ბ) წარმოებაში ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს შეიმუშავებენ, როგორც წესი, საწარმოები და დაამტკიცებენ საწარმოთა ხელმძღვანელები, გარდა იმ ნორმებისა, რომლებსაც ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა დააწესონ იმ ნორმების ნუსხა, რომლებსაც ისინი ამტკიცებენ;

გ) ხარჯვის ინდივიდუალურ, ყველაზე უფრო მატერიალურად ტევად ნორმებს პროდუქციის იმ ნომენკლატურის მიხედვით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ საჭირო გაანგარიშებებით წარუდგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მიმდინარე წლის 15 აპრილისათვის და მათ დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი არა უგვიანეს 15 მაისისა;

დ) საწარმოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ყოველწლიურად გადასინჯავენ და დაამტკიცებენ შავი ლითონების ნაგლინის, ფერადი ლითონების, ხე-ტყის მასალის, უმნიშვნელოვანესი ქიმიკატების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს, აღნიშნული პროდუქციის ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირების იმ დავალებათა საფუძველზე, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მო კომიტეტი. ეს დავალებანი დაწესდება და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ეცნობებათ დაგეგმილი წლის მომდევნო წლისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის დამტკიცების შემდეგ ერთი თვის ვადაში.

17. დაწესდეს, რომ საწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შესაბამისი საწარმოებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მიერ მატერიალური რესურსების ხარჯვის აშკარად გადიდებული ნორმების წარდგენისათვის.

18. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) შეიმუშაონ 1962 წელს და განახორციელონ მანქანების წონის შემდგომი შემცირების ღონისძიებანი, სიმძლავრის ერთეულზე ნედლეულისა და მასალების ხვედრითი ხარჯვის შემცირების გზით, შეამსუბუქონ მანქანების კვანძები და დეტალები, რისთვისაც გამოიყენონ მცირედ ლეგირებული ფოლადები და ლითონის ეკონომიური პროფილები და შეცვალონ შავი ლითონის ნაგლინი მსუბუქი არადეფიციტური ლითონებისაგან დამზადებული შენადნობებით, პლასტიკური მასებითა და სხვ.;

ბ) უზრუნველყონ, რომ უახლოეს წლებში განხორციელდეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხარჯვის ნორმების თანდათანობით გავრცელება ნედლეულის, მასალების, სათბობის და ელექტროენერგიის იმ რესურსების მთელ მოცულობაზე, რომელსაც სახალხო მეურნეობის საბჭოები, მოკავშირე რესპუბლიკები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები იყენებენ წარმოების საჭიროებისათვის.

19. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით მოამზადოს და გამოსცეს 1962 წელს დარგობრივი ინსტრუქციები წარმოებაში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების წესის შესახებ.

20. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქტროენერგიის ხარჯვის იმ ნორმების შემუშავების ხარისხს, რომლებსაც ამტკიცებენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები, უწყებები და საწარმოთა ხელმძღვანელები.

21. მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების მოწესრიგების მიზნით, დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) უზრუნველყონ საწარმოებში არსებული მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების ბიუროების ან ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, ხოლო იქ სადაც ასეთი ქვედანაყოფები არ არსებობს, შექმნან ახალი ქვედანაყოფები.

დაეკისროთ აღნიშნულ ბიუროებს ან ჯგუფებს ხარჯვის იმ დეტალობრივი ან ოპერაციული ნორმების შემოწმება, რომლებსაც ტექნოლოგები შეიმუშავებენ, ნაკეთობებისა და პროდუქციის სახეობათა შეჯამებითი ნორმების და საშუალოდაწონილი ჯგუფური ნორმების დადგენა, მატერიალური რესურსების ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების შედგენა და მათი შესრულების კონტროლი, საანგარიშო მონაცემების ანალიზი წარმოებაში მასალების ფაქტიური ხვედრითი ხარჯვის შესახებ პროდუქციის სახეობათა მიხედვით, საწარმოში ხარჯვის ნორმების ეკონომიურობის განსაზღვრა დაგეგმილი პერიოდისათვის და იმისადმი კონტროლი, რომ წარმოებაში დაინერგოს და შესრულდეს ხარჯვის დაწესებული ნორმები.

საწარმოებში ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმირებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ მთავარ ტექნოლოგებს ან მთავარ ინჟინრებს და სამშენებლო ორგანიზაციებში — სამშენებლო ტრესტების (სამმართველოების) მთავარ ინჟინრებს;

ბ) შექმნან სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივ სამმართველოებში მასალების ხარჯვის ნორმირების ჯგუფები (ტექნიკურ განყოფილებათა შემადგენლობაში), რომლებსაც დააკისრონ საწარმოების მიერ წარმოდგენილი ხარჯვის შეჯამებითი და საჭიროების დროს — დეტალობრივი ნორმების შემოწმება პროდუქციის სახეობათა მიხედვით, საშუალოდაწონილი ნორმების, ეკონომიის ოდენობისა და დარგების მიხედვით ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირების განსაზღვრა;

გ) შექმნან სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალურ აპარატში მასალების ხარჯვის ნორმირების განყოფილებები (სექტორები) ტექნიკური სამმართველოების (განყოფილებების) შემადგენლობაში და შესაბამისად — კაპიტა-

ლური მშენებლობის სამმართველოებში. დააკისრონ ამ განყოფილებებს (სექტორებს) მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირებისა და ეკონომიის ხაზით წარმოებული მუშაობის ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა, მოწინავე გამოცდილების განზოგადება და გავრცელება, მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების განხილვა და დადგენილი წესით წარდგენა დასამტკიცებლად, კონტროლის გაწევა დაწესებული ნორმების შესრულებისათვის;

დ) შექმნან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებში მასალების ხარჯვის ნორმირებისა და ეკონომიის განყოფილებები და ქვეგანყოფილებები.

შეიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების განყოფილება, რომელიც შეათანხმებს და მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირებისათვის.

დაწესდეს, რომ საწარმოებში, სახალხო მეურნეობის საბჭოებში, სამინისტროებსა და უწყებებში მასალების ხარჯვის ნორმირების სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნა უნდა მოხდეს შესაბამისად საწარმოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის ფარგლებში.

22. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მონაწილეობით:

ა) მოაწყონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვის მეთოდიკის შემუშავება საანგარიშო-ანალიზური და ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების გამოყენებით, დაამტკიცონ 1962 წლის პირველ ნახევარში ამ სამუშაოს პროგრამა და შესრულების ვადები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა ჩატარდეს ცდის სახით 1962 წელს გაანგარიშებანი რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ მთელი რიგი მსხვილი სახალხო მეურნეობის საბჭოების მოთხოვნილებისა მატერიალურ რესურსებზე;

ბ) შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს 1962-1965 წლებში საჭირო ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების წარმოება.

23. დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უზრუნველყოს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში წარმოებასა და მშენებლობაში ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების შესრულების ანგარიშგების სისტემატური დამუშავება და ანალიზი, აგრეთვე ამ ანგარიშების სინამდვილის შემოწმება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები, უწყებები და საგეგმო ორგანოები საანგარიშო მონაცემებით, რომლებიც საჭიროა კონტროლის გასაწევად, თუ როგორ მუშაობენ საწარმოები მატერიალური რესურსების ეკონომიის დარგში;

ბ) უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის საბჭოები და მომარაგება-გასაღების ორგანოები საჭირო საანგარიშო მონაცემებით მომარაგებისა და მიწოდების გეგმების შესრულების შესახებ, მატერიალური რესურსების ნაშთების მოძრაობისა და ხარჯვის ნორმების შესრულების შესახებ, ამასთან ანგარიშგების ფორმები შეუთანხმონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

24. იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა ამაღლდეს მატერიალური ბალანსების შემუშავებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვის ხაზით მთელი მუშაობის დონე, მოეწყოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შეჯამებითი ბალანსების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ბაზაზე:

ა) შეჯამებითი მატერიალური ბალანსების სამმართველო (შესაბამისი განყოფილებებით);

ბ) ლითონების განაწილების ბალანსებისა და გეგმების განყოფილება;

გ) მასალებისა და სათბობის განაწილების ბალანსებისა და გეგმების განყოფილება.

დ) მოწყობილობისა და მანქანების განაწილების ბალანსებისა და გეგმების განყოფილება.

25. წარმოებაში მატერიალური რესურსების ნორმირებისა და ეკონომიის, საწარმოო მარაგის ნორმირების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფის ხაზით სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების სამუშაოთა კოორდინაციის განხორციელების მიზნით, დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ დაგეგმვისა და ნორმატივების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ამ პრობლემების მთავარი ორგანიზაციის ფუნქციები.

უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ დაგეგმვისა და ნორმატივების სამეცნიერო-საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლევ ინსტიტუტს გამოიყენოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები სამუშაოების შესასრულებლად, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მისთვის დაწესებული სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა გეგმის მიხედვით.

26. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოების, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოების მონაწილეობით სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი პროდუქციის მიწოდების თაობაზე ხელშეკრულებათა დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

27. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკთა კადრების მომზადების მიზნით, დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

ა) გააფართოონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგის ეკონომისტთა მომზადება უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, განახორციელონ ღონისძიებანი პრაქტიკულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის;

ბ) ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების დროს უზრუნველყონ ინჟინერ-ტექნიკური კადრებისა და ეკონომისტების გაგზავნა საწარმოებში, მშენებლობებზე, სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და ორგანიზაციებში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხაზით სამუშაოდ.

28. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ერთი თვის ვადაში ჩაატარონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკთა აქტივის თათბირები მატერიალური რესურსების მომარაგებისა და მათი ხარჯვის ნორმირების საქმის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახილველად.

29. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

*

* *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ნედლეულისა და მასალების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მათი ხარჯვის ნორმირების საქმის მოწესრიგება ხელს შეუწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების გაძლიერებას, ჩვენს ქვეყანაში არსებული მატერიალური რესურსების უფრო სრულ მობილიზაციას და მათ უკეთ გამოყენებას, საწარმოთა მუშაობის ეკონომიური ეფექტურობის გაძლიერებას და მრეწველობის მუშაობაში გეგმაზომიერებისა და რიტმულობის უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალებენ საწარმოებისა და მშენებლობების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამეურნეო და საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელებს გააუმჯობესონ მუშაობა სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვისა და მოწყობისათვის, გააძლიერონ კონტროლი მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმების შესრულებისადმი, მატერიალური რესურსების სწორად განაწილებისადმი, მათი მომჭირნეობით ხარჯვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი.

საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭო

## 5 გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების იმ პირობებში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მეჩაიეობის ხაზით

მეჩაიეობის ხაზით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების იმ პირობების ნაწილობრივ შესაცვლელად, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25

ივლისის № 624 დადგენილებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნება რაიონებისათვის მეჩაიეობის ხაზით წარმოებს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური შედეგების მიხედვით — იანვარში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. კუჩავა.

ქ. თბილისი, 1962 წ. 16 იანვარი, № 63

## 6 საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის მდგომარეობისა და მისი დონის ამაღლების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მანქანა-ტრაქტორთა პარკის ერთგვარი გადიდების მიუხედავად, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია, რაც ვერ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის განვითარების გაზრდის მოთხოვნებს.

განსაკუთრებით დაბალია ჩაის კულტურის, ციტრუსების, ვენახების, ხეხილის ბაღების, თამბაქოს და სხვა კულტურების დამუშავების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე. მთიანი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკურ საშუალებათა უქონლობის გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების უმეტესი შრომატევადი სამუშაოები ძირითადად ხელით სრულდება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეტად არადამაკმაყოფილებელია ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, რის გამო უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ერთი ნაწილი არათავის დროზე და აგროტექნიკური მოთხოვნების დარღვევით სრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შენახვას და მათ მოვლას, ურიგდებიან მანქანების განკომპლექტებას და ნაადრევად ჩამოწერას; უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შენახვის წესებს, რაც იწვევს მის ნაადრევად გამოსვლას მწყობრიდან.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადგილი აქვს მასობრივი კვალიფიკაციის მექანიზატორთა დიდ დენადობას. კოლმეურნეობებში არ იყენებენ მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების მთავრობის მიერ დადგენილ წესს; ბევრ ტრაქტორსა და კომბაინზე მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ ამ მანქანების მართვის უფლება; მთელ რიგ მეურნეობებში არ ყოფნით ტრაქტორისტები და კომბაინერები იმისათვისაც კი, რომ უზრუნველყონ მანქანების მუშაობა ერთცვლად.

ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში ირღვევა შრომის ანაზღაურების წესი, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის № 542 დადგენილებით.

ბევრ კოლმეურნეობას, რომლებსაც დიდი მანქანა-ტრაქტორთა პარკი აქვთ, არა ჰყავთ ინჟინრები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ტექნიკის გამოყენებასა და რემონტს.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა სოფლის მეურნეობის სარემონტო ბაზა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სამანქანო-სატრაქტორო პარკის მდგომარეობაზე.

საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, საკუთარი სარემონტო ბაზის უქონლობის მიუხედავად, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა რთული ტექნიკის კაპიტალურ რემონტს ეწევიან ამ მიზნისათვის მოუწყობელ სახელოსნოებში, ამასთან უხეშად არღვევენ დაწესებულ ტექნიკურ პირობებს. ამავე დროს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო სახელოსნოები, რომლებიც ამავე რაიონებში მდებარეობენ, სრულად არ არიან დატვირთული.

საქსოფლტექნიკის რაიონული განყოფილებები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, საკმაო დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალნაყოფიერად გამოყენების, მანქანების სწორი ტექნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის, მეცხოველეობის მექანიზაციის საქმეში, სუსტად ნერგავენ ტექნიკის რემონტის ინდუსტრიულ მეთოდებს, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ გაცვეთილი დეტალების აღდგენისათვის.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო ურიგდებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის არადამაკმაყოფილებლად გამოყენებას, არ ახორციელებენ სათანადო ხელმძღვანელობას და არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის დონის ამაღლებისათვის.

ითვალისწინებენ რა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის დონის ამაღლების, აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებისა და რემონტის გაუმჯობესების და მანქანების სამსახურის ვადის გადიდების განსაკუთრებით დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 30 ნოემბრის № 1058 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს 1962—1965 წლებისათვის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის დონის ამაღლების დავალებანი სამუშაოთა სახეობისა და რესპუბლიკის ცალკეული რაიონების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ყოველწლიურად წარადგინონ, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის დაგეგმილი დონის შესაბამისად, განაცხადი მანქანებზე, შეიტანონ რაიონებში და მიყიდონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მექანიზაციის იმ დონის დავალების საფუძველზე, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოეწყოს რესპუბლიკური მრეწველობის ქარხნებში ისეთი იარაღებისა და მოწყობილობათა წარმოება, რომლებსაც არ აწვდის საკავშირო მრეწველობა სპეციალური კულტურების დამუშავების კომპლექსური მექანიზაციისა და სამთო მიწათმოქმედების მანქანების სერიული გამოშვებისათვის, კერძოდ მოწყობილობისა საბაგირო წევაზე.

4. დაევალოთ პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) განიხილონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის დონის მდგომარეობა, დააწესონ დავალება 1962—1965 წლებისათვის და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დავალების უცილობლივ შესრულებას, ამასთან გაითვალისწინონ, რომ დამთავრდეს საბჭოთა მეურნეობებში მინდვრის, ბოსტნეული და პარკოსანი კულტურების დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია 1962—1963 წლებში;

ბ) საწარმოო-საფინანსო გეგმებთან ერთად შეიმუშაონ და სისტემატურად განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი სამანქანო ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას:

დანერგვა წარმოებაში მეცნიერების ახალი მიღწევებისა და მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებისა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეული და სხვა კულტურების დამუშავებაში ხელით შრომის გამოუყენებლად, ადგილობრივი პირობების, არსებული ტექნიკისა და იმ ახალი მანქანების გათვალისწინებით, რომლებსაც მრეწველობა უშვებს;

ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიმაგრება მექანიზატორებზე, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის ისეთი სისტემის დანერგვა, რომლის მიხედვითაც ტექნიკური მომსახურება იწარმოებს მთელი წლის გრაფიკით.

შექმნან მექანიზატორთა მუდმივი შემადგენლობა და მოაწყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჩვენებელი სატრაქტორო, კომპლექსური და სხვა საწარმოო ბრიგადები; შეუქმნან ბრიგადებისა და განყოფილებათა მუშაკებს სათანადო საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობები, ააშენონ საველე ბანაკებში, სადაც ეს საჭიროა, საერთო საცხოვრებლები, უმარტივესი სახელოსნოები მანქანების ტექნიკური მოვლისათვის და ნავთობპროდუქტების საცავები, მოაწყონ გამმართველი მოედნები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესანახი მოედნები, სამანქანო ეზოები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოებსა და საველე ბანაკებში;

გ) არ დაუშვან მანქანების, მოწყობილობის და დანადგარების ექსპლუატაციის, რემონტის ტექნოლოგიისა და რემონტის ტექნიკური პირობების, სარემონტო მასალების და სათადარიგო ნაწილების ხარჯვის ნორმატივების საკითხებზე, ინსტრუქციის იმ წესების დარღვევა, რომლებსაც დაამტკიცებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და რომლებიც სავალდებულოა ტრაქტორმოსარგებლეებისათვის;

დ) იმ მიზნით, რომ გაიშალოს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და შენახვის საქმეში არსებული უყაირათობის წინააღმდეგ და გაძლიერდეს მექანიზატორთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლაშენახვისათვის, მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენებისათვის ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

5. იმ მიზნით, რომ დამაგრებულ იქნან მექანიზატორთა კადრები კოლმეურნეობებში, რომ გაძლიერდეს მათი დაინტერესება მუშაობით და კვალიფიკაციის ამაღლებით, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) რამდენიმე ვიწრო სპეციალობის (ტრაქტორისტი, კომბაინერი, რთული მანქანების მემანქანე) ნაცვლად, შემოიღონ ერთიანი პროფესია — I, II და III კლასის ტრაქტორისტი-მემანქანე, მათი ცოდნისა და მუშაობის გამოცდილების მიხედვით; დაარიცხონ პირველი კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს ხელფასის 20-პროცენტიანი დანამატი და მეორე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს — 10-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტიანი დანამატი, მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გამომუშავების ნორმებისათვის დაწესებული ფასდების მიხედვით;

ბ) კოლმეურნეობებმა, რომლებიც ეწევიან შრომის ანაზღაურებას შრომადღეების მიხედვით, აწარმოონ მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 აპრილის № 425 დადგენილების შესაბამისად.

კოლმეურნეობებმა, რომლებიც გადასული არიან კოლმეურნეთა შრომის ფულად ანაზღაურებაზე, აწარმოონ მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება იმ წესითა და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის № 542 დადგენილებით;

გ) აძლიონ მექანიზატორებს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლა-შენახვისა და კარგად გამოყენებისათვის პრემიები იმ სახსრების ეკონომიის ანგარიშში, რაც გათვალისწინებულია საწარმოო-საფინანსო გეგმით (შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვით) ტექნიკის რემონტისათვის იმ პირობით, თუ შესრულებულია მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა, აგრეთვე გაუდიდონ მოსავლის აღებასა და საკვების დამზადებაზე დასაქმებულ მექანიზატორებს ფასდება გამომუშავების ნორმისათვის იმ წესითა და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის № 542 დადგენილებით.

6. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სატრაქტორო და სხვა მექანიზებულ სამუშაოთა ნორმირების ძირეულად გაუმჯობესებისა და შემდგომი სრულყოფისათვის დაევალოთ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს:

ა) შეიმუშაონ და 1962 წელს დანერგონ ყველა კოლმეურნეობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები გამომუშავებისა და სათბობის ხარჯვისა ყველა სახის სატრაქტორო და მექანიზებულ სამუშაოებზე;

ბ) დააკისრონ ზონალურ სანორმირებო პუნქტებს დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სატრაქტორო და სხვა მექანიზებულ სამუშაოებზე გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების შემუშავებასა და დანერგვაში, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემოსულ ახალ მანქანებზე გამომუშავების, დროებითი ნორმების შემუშავებაში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს და დახმარება აღმოუჩინოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სატრაქტორო და სხვა მექანიზებულ სამუშაოებზე სათბობის ხარჯვის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების შემუშავებასა და დანერგვაში;

ბ) სამი თვის ვადაში გადასინჯოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების და მეცხოველეობაში სამუშაოთა კომპლექსური ელექტრომექანიზაციის ტიპობრივი ტექნოლოგიური რუკები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსთან ერთად უზრუნველყოს ამ რუკების შედგენა რესპუბლიკის ყველა საცდელ-საჩვენებელ მეურნეობაში.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთი დეკადის ვადაში განიხილონ „საქსოფლტექნიკის" თელავის, სამტრედიის და ახალქალაქის რაიონულ განყოფილებებთან და ოჩამჩირის სამანქანო-სამელიორაციო სადგურთან 4 ზონალური სანორმირებო პუნქტის მოწყობის საკითხი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართ-

ველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი „სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 იანვრის № 34 დადგენილების განხორციელებისათვის.

10. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების, რემონტის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის, სარემონტო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისა და მათი თვითღირებულების შემცირების მიზნით, დაევალოთ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს მტკიცედ იხელმძღვანელონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 30 ნოემბრის № 1058 დადგენილების განაყოფით „სარემონტო ბაზის განვითარება და განმტკიცება".

11. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტეხნიკას" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 30 ნოემბრის № 1058 დადგენილების შესაბამისად მოწყობილი 40 დასაყრდენი პუნქტიდან (ნორმირებისათვის) მოაწყოს საქართველოს სს რესპუბლიკაში ორი დასაყრდენი პუნქტი (ნორმირებისათვის).

12. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის არსებული სარემონტო ბაზის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი შემდგომი გაფართოების შესახებ.

13. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" შექმნას 1962—1963 წლებში სარემონტო საწარმოებში აგრეგატებისა და კვანძების გადაცვლის ფონდი დამტკიცებული ნომენკლატურისა და ნორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ყოველწლიურ გაითვალისწინოს საჭირო სახსრების გამოყოფა გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სარემონტო საწარმოებში კვანძების და აგრეგატების გადაცვლის ფონდის შექმნისა და შევ-

სების უზრუნველსაყოფად, კვანძებისა და აგრეგატების მიწოდების გეგმების შესაბამისად.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის წლიური გეგმებით ცალკე სტრიქონად — გრაფა „სოფლის მეურნეობა" რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სისტემის სახელოსნოების საერთო პროდუქციის მოცულობა ისე, რომ გამოიყოს ნატურალური გამოხატულებით ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების, ძრავებისა და სხვა რთული აგრეგატების რემონტი, გაითვალისწინონ გაცვეთილი დეტალების ცენტრალიზებული აღდგენის დავალება და არასტანდარტული სარემონტო მოწყობილობის წარმოების მოცულობა, აგრეთვე შრომის, მატერიალურ და კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოყოფა იმ მოცულობით, რაც საჭიროა სარემონტო საწარმოების განვითარებისათვის.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულების შედეგების შეჯამების დროს გაითვალისწინოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სარემონტო საწარმოებში როგორც საერთო პროდუქციის წარმოების გეგმების, ისე ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის გეგმების შესრულება.

16. განხილულ იქნას არასწორი მოქმედება მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც დაუდევრად მოეკიდნენ ტრაქტორების, კომბაინების და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაწუნებას და ჩამოწერას და რაიაღმასკომების ყურადღება მიექცეს იმას, რომ მათ დაუსაბუთებლად დაამტკიცეს მანქანების ნაადრევად ჩამოწერის შესახებ შედგენილი აქტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 30 ნოემბრის № 1058 დადგენილების შესაბამისად, დაწესდეს, რომ:

ა) თვითეული ერთეულის 500 მანეთზე მეტი ღირებულების იმ ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების, თვითმავალი და სხვა მანქანების, მოწყობილობისა და დანადგარების ჩამოწერას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების ბალანსებიდან, რომლებიც გამოსადეგია შემდგომი ექსპლუატაციისათვის და რომელთა აღდგენა შეუძლებელია, დაამტკიცებენ საქართველოს სსრ მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი მანქანების ჩამოწერის დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებში — მთელი მასალების წინასწარი წარდგენით ზემდგომი ორგანიზაციებისათვის და გაერთიანება „სასოფლტექნიკის" განყოფილებათა დასკვნით;

ბ) თვითეული ერთეულის 150-დან 500 მანეთამდე ღირებულების ყველა დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო და სხვა მანქანების, მოწყობილობისა და დანადგარების ჩამოწერას კოლმეურნეობათა ბალანსებიდან დაამტკიცებენ რაიაღმასკომები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში — ზემდგომი ორგანიზაციები „სასოფლტექნიკის" განყოფილების სავალდებულო დასკვნით ჩამოწერის მიზანშეწონილობის შესახებ.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შეიყვანონ „სასოფლტექნიკის" რაიონულ განყოფილებათა სპეციალისტები იმ მანქანების (თვითეული ერთეულის 150 მანეთზე მეტი ღირებულების) ტექნიკური მდგომარეობის განმსაზღვრელ კომისიაში, რომლებიც ნავარაუდევია კოლმეურნეობათა ბალანსებიდან ჩამოსაწერად.

17. დაევალოთ რესპუბლიკურ გაერთიანება „სასოფლტექნიკას", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინების და სხვა მანქანების, აგრეთვე მოწყობილობის სწორად შენახვას და ჩამოწერას; არ დაუშვან მათი ნაადრევად ჩამოწერა.

18. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს და გაერთიანება „სასოფლტექნიკას", რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად, სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ მეცხოველეობაში საწარმოო პროცესების ელექტრომექანიზაციის 1962—1965 წლების გეგმის პროექტი და ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



19. მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის მარტში რესპუბლიკური თათბირი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის განხორციელების საკითხებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. კუჭავა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 იანვრის № 69 დადგენილების დანართი

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა

## ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის დონის ამაღლებისა სამუშაოთა სახეობებისა და საქართველოს სსრ ცალკეული რაიონების მიხედვით

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | მარცვლეული | | | | | | | | | სიმინდი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხვნა | | | თესვა | | | აღება | | | თესვა | | | აქედან კვადრატულ-ბუდობრივი | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 1. ახალქალაქის | 92 | 94 | 98 | 70 | 100 | 100 | 32 | 44 | 59 | — | — | — | — | — | — |
| 2. ახალციხის | 95 | 96 | 98 | 74 | 97 | 100 | 73 | 81 | 100 | 52 | 82 | 88 | — | — | — |
| 3. ხაშურის | 97 | 97 | 98 | 89 | 92 | 95 | 80 | 80 | 95 | 87 | 92 | 97 | 7 | 22 | 42 |
| 4. ქარელის | 98 | 99 | 99 | 91 | 94 | 95 | 91 | 91 | 92 | 97 | 97 | 97 | 10 | 26 | 32 |
| 5. გორის | 96 | 97 | 99 | 89 | 95 | 96 | 80 | 80 | 94 | 98 | 98 | 98 | 6 | 30 | 51 |
| 6. კასპის | 98 | 99 | 100 | 98 | 98 | 99 | 98 | 98 | 98 | 100 | 100 | 100 | 18 | 23 | 25 |
| 7. ბორჯომის | 53 | 77 | 78 | 12 | 22 | 25 | 52 | 52 | 55 | 51 | 51 | 52 | — | — | — |
| 8. საგარეჯოს | 99 | 99 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 36 | 55 | 57 |
| 9. გურჯაანის | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 00 | 100 | 38 | 72 | 78 |
| 10. სიღნაღის | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 57 | 93 | 95 |
| 11. წითელწყაროს | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 49 | 77 | 81 |
| 12. თელავის | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 29 | 43 | 52 |
| 13. ახმეტის | 93 | 93 | 93 | 87 | 88 | 89 | 87 | 90 | 90 | 76 | 98 | 98 | 5 | 26 | 77 |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | სიმინდი | | | | | | ბოსტნეული | | | | | | | | | ბაღები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | ალება | | | თესვა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | ალება | | | ნიადაგის დამუშავება | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 |
| 1. ახალქალაქის | — | — | — | — | — | — | 20 | 30 | 35 | 20 | 30 | 35 | 6 | 10 | 12 | — | — | — |
| 2. ახალციხის | 16 | 23 | 88 | — | — | — | — | 5 | 10 | — | 5 | 10 | — | — | — | 70 | 80 | 90 |
| 3. ხაშურის | 29 | 48 | 72 | 8 | 11 | 26 | 33 | 35 | 40 | 33 | 35 | 40 | 2 | 3 | 5 | 100 | 100 | 100 |
| 4. ქარელის | 78 | 94 | 97 | — | 31 | 41 | 26 | 73 | 96 | 29 | 29 | 30 | 3 | 4 | 5 | 100 | 100 | 100 |
| 5. გორის | 63 | 90 | 98 | — | 25 | 74 | 44 | 45 | 50 | 44 | 45 | 50 | 3 | 10 | 17 | 100 | 100 | 100 |
| 6. კასპის | 81 | 99 | 100 | — | 58 | 76 | 40 | 40 | 45 | 40 | 40 | 45 | 3 | 5 | 8 | 100 | 100 | 100 |
| 7. ბორჯომის | — | — | — | — | — | — | 5 | 5 | 10 | 5 | 5 | 10 | — | — | — | 20 | 30 | 40 |
| 8. საგარეჯოს | 100 | 100 | 100 | 8 | 21 | 35 | 40 | 42 | 73 | 40 | 42 | 73 | 7 | 8 | 10 | 100 | 100 | 100 |
| 9. გურჯაანის | 95 | 100 | 100 | — | 14 | 52 | 10 | 17 | 18 | 10 | 15 | 20 | — | — | — | 100 | 100 | 100 |
| 10. სიღნაღის | 100 | 100 | 100 | 17 | 17 | 59 | 14 | 18 | 25 | 17 | 20 | 30 | — | 2 | 10 | 70 | 70 | 75 |
| 11. წითელწყაროს | 100 | 100 | 100 | 21 | 22 | 30 | 40 | 40 | 45 | 50 | 60 | 60 | — | 5 | 12 | 100 | 100 | 100 |
| 12. თელავის | 100 | 100 | 100 | — | 29 | 60 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | — | 3 | 5 | 70 | 70 | 75 |
| 13. ახმეტის | 82 | 84 | 84 | 0,7 | 0,7 | 9 | 11 | 16 | 26 | 12 | 16 | 26 | 0,5 | 1 | 4 | 90 | 92 | 95 |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | ბაღები: შესხურება და შეფრქვევა, მექანიზაციის პროცენტი | | | კარტოფილი: რგვა, მექანიზაციის პროცენტი | | | კარტოფილი: მწკრივთაშორისი დამუშავება, მექანიზაციის პროცენტი | | | კარტოფილი: ალება, მექანიზაციის პროცენტი | | | თამბაქო: რგვა, მექანიზაციის პროცენტი | | | თამბაქო: მწკრივთაშორისი დამუშავება, მექანიზაციის პროცენტი | | | ჩაი: ნიადაგის დამუშავება, მექანიზაციის პროცენტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 |
| 1. ახალქალაქის | — | — | — | 8 | 20 | 34 | — | 35 | 35 | 2 | 12 | 27 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2. ახალციხის | 70 | 80 | 90 | 2 | 14 | 50 | 2 | 14 | 50 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 3. ხაშურის | 50 | 60 | 70 | — | — | 47 | — | 46 | 58 | — | — | 53 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4. ქარელის | 90 | 92 | 95 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 5. გორის | 90 | 92 | 95 | — | — | 100 | — | — | 100 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6. კასპის | 90 | 93 | 95 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 7. ბორჯომის | 20 | 30 | 40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 8. საგარეჯოს | 50 | 60 | 70 | — | 72 | 72 | 3 | 53 | 33 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 9. გურჯაანის | 50 | 60 | 70 | — | — | 1 | — | — | 4 | — | — | 0,5 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 10. სიღნაღის | 70 | 70 | 75 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 11. წითელწყაროს | 100 | 100 | 100 | — | 12 | 18 | — | — | 10 | — | — | 10 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 12. თელავის | 70 | 70 | 75 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 13. ახმეტის | 90 | 92 | 95 | — | — | 14 | — | — | 14 | — | — | 14 | — | — | — | — | — | — | — | — | — |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | ჩაი | | | | | | ვენახები | | | | | | ციტრუსები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვლა | | | კრეფა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | შესხურება და შეფრქვევა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | შესხურება და შეფრქვევა | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1930 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 | 71 | 72 | 73 |
| 1. ახალქალაქის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2. ახალციხის | — | — | — | — | — | — | 82 | 82 | 85 | 5 | 7 | 10 | — | — | — | — | — | — |
| 3. ხაშურის | — | — | — | — | — | — | 66 | 70 | 70 | 9 | 10 | 15 | — | — | — | — | — | — |
| 4. ქარელის | — | — | — | — | — | — | 40 | 63 | 65 | 15 | 21 | 43 | — | — | — | — | — | — |
| 5. გორის | — | — | — | — | — | — | 42 | 63 | 80 | 19 | 77 | 80 | — | — | — | — | — | — |
| 6. კასპის | — | — | — | — | — | — | 85 | 85 | 90 | 20 | 55 | 72 | — | — | — | — | — | — |
| 7. ბორჯომის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 8. საგარეჯოს | — | — | — | — | — | — | 90 | 92 | 95 | 58 | 86 | 86 | — | — | — | — | — | — |
| 9. გურჯაანის | — | — | — | — | — | — | 85 | 85 | 88 | 68 | 70 | 75 | — | — | — | — | — | — |
| 10. სიღნაღის | — | — | — | — | — | — | 72 | 93 | 95 | 92 | 95 | 95 | — | — | — | — | — | — |
| 11. წითელწყაროს | — | — | — | — | — | — | 70 | 75 | 80 | 48 | 78 | 95 | — | — | — | — | — | — |
| 12. თელავის | — | — | — | — | — | — | 70 | 75 | 80 | 48 | 78 | 95 | — | — | — | — | — | — |
| 13. ახმეტის | — | — | — | — | — | — | 62 | 70 | 75 | 23 | 66 | 72 | — | — | — | — | — | — |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | მარცვლეული | | | | | | | | | სიმინდი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხვნა | | | თესვა | | | აღება | | | თესვა | | | აქედან კვადრატულ-ბუდობრივი | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 14. ყვარლის | 100 | 100 | 100 | 87 | 100 | 100 | 87 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 6 | 23 | 45 |
| 15. ლაგოდეხის | 100 | 100 | 100 | 98 | 98 | 98 | 98 | 98 | 98 | 98 | 98 | 98 | 9 | 30 | 51 |
| 16. საგარეჯოს | 98 | 99 | 99 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 21 | 55 | 57 |
| 17. მცხეთის | 97 | 98 | 99 | 96 | 100 | 100 | 96 | 98 | 100 | 97 | 100 | 100 | 6 | 26 | 26 |
| 18. მარნეულის | 100 | 100 | 100 | 98 | 100 | 100 | 98 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 22 | 40 | 48 |
| 19. ბოლნისის | 100 | 100 | 100 | 99 | 100 | 100 | 99 | 100 | 100 | 90 | 100 | 100 | 3 | 27 | 60 |
| 20. წალკის | 94 | 94 | 94 | 63 | 70 | 70 | 63 | 63 | 70 | 31 | 87 | 87 | — | 35 | 39 |
| 21. დუშეთის | 56 | 97 | 98 | 77 | 78 | 78 | 77 | 78 | 78 | 75 | 75 | 75 | — | 4 | 10 |
| 22. თეთრიწყაროს | 97 | 98 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 91 | 96 | 97 | 11 | 32 | 32 |
| 23. დმანისის | 97 | 98 | 99 | 76 | 97 | 98 | 76 | 86 | 87 | 63 | 84 | 84 | — | — | — |
| 24. თიანეთის | 100 | 100 | 100 | 86 | 91 | 91 | 86 | 100 | 100 | 76 | 100 | 100 | — | 30 | 40 |
| 25. წყალტუბოს | 77 | 82 | 84 | — | — | — | — | — | — | 26 | 46 | 50 | — | 6 | 11 |
| 26. სამტრედიის | 71 | 89 | 96 | — | — | — | — | — | — | 34 | 40 | 52 | — | 4 | 10 |
| 27. წულუკიძის | 55 | 61 | 62 | — | — | — | — | — | — | 19 | 33 | 42 | — | 6 | 10 |
| 28. ვანის | 66 | 67 | 67 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 70 | 77 | 78 | — | 10 | 15 |
| 29. მაიაკოვსკის | 53 | 68 | 71 | — | — | — | — | — | — | 49 | 58 | 59 | — | 5 | 12 |
| 30. ზესტაფონის | 50 | 67 | 73 | — | — | — | — | — | — | 35 | 58 | 58 | — | — | — |
| 31. თერჯოლის | 67 | 70 | 74 | — | — | — | — | — | — | 23 | 34 | 41 | — | 1 | 5 |
| 32. ქ. ჭიათურა | 38 | 53 | 57 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | სიმინდი | | | | | | ბოსტნეული | | | | | | | | | ბაღები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | აღება | | | თესვა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | აღება | | | ნიადაგის დამუშავება | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 196 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 |
| 14. ყვარლის | 75 | 100 | 100 | — | 71 | 71 | 40 | 43 | 50 | 40 | 45 | 48 | 4 | 6 | 9 | 100 | 100 | 100 |
| 15. ლაგოდეხის | 68 | 90 | 98 | — | 25 | 74 | 35 | 36 | 38 | 40 | 40 | 50 | — | 2 | 10 | 90 | 95 | 95 |
| 16. სამგორის | 73 | 100 | 100 | 3 | 84 | 100 | 42 | 42 | 50 | 64 | 72 | 81 | — | 2 | 5 | 95 | 96 | 98 |
| 17. მცხეთის | 73 | 100 | 100 | 12 | 76 | 76 | 12 | 16 | 24 | 16 | 20 | 30 | — | 3 | 8 | 98 | 98 | 98 |
| 18. მარნეულის | 84 | 100 | 100 | 3 | 51 | 70 | 30 | 32 | 35 | 30 | 32 | 35 | — | 3 | 5 | 94 | 95 | 95 |
| 19. ბოლნისის | 89 | 89 | 92 | — | — | 45 | 37 | 38 | 40 | 37 | 38 | 40 | — | 3 | 5 | 50 | 60 | 70 |
| 20. წალკის | 31 | 71 | 91 | — | — | 74 | 31 | 32 | 35 | 31 | 32 | 35 | — | 2 | 6 | — | — | — |
| 21. დუშეთის | 28 | 71 | 91 | — | — | 74 | — | 5 | 10 | — | 5 | 10 | — | — | 2 | 77 | 78 | 80 |
| 22. თერიწყაროს | 60 | 92 | 100 | 18 | 74 | 79 | 20 | 25 | 30 | 20 | 25 | 30 | — | 2 | 8 | 80 | 85 | 90 |
| 23. დმანისის | 65 | 65 | 66 | — | 10 | 15 | 30 | 35 | 40 | 30 | 35 | 40 | — | 3 | 6 | 80 | 85 | 90 |
| 24. თიანეთის | 14 | 53 | 60 | — | 30 | 30 | 12 | 15 | 18 | 15 | 15 | 20 | — | — | 2 | — | — | — |
| 25. წყალტუბოს | 12 | 42 | 54 | — | 15 | 21 | 10 | 10 | 15 | 10 | 10 | 15 | — | — | — | 21 | 47 | 50 |
| 26. სამტრედიის | 20 | 32 | 55 | — | 20 | 25 | 15 | 15 | 16 | 15 | 20 | 25 | — | — | — | 22 | 26 | 50 |
| 27. წულუკიძის | 13 | 32 | 46 | — | 15 | 20 | 7 | 8 | 10 | 10 | 12 | 15 | — | — | — | 15 | 20 | 30 |
| 28. ვანის | 29 | 63 | 81 | — | 3 | 9 | — | 5 | 10 | — | 5 | 10 | — | — | — | 10 | 15 | 20 |
| 29. მაიაკოვსკის | 46 | 93 | 93 | 1 | 4 | 10 | 10 | 10 | 12 | 15 | 18 | 20 | — | — | — | 15 | 20 | 30 |
| 30. ზესტაფონის | 30 | 46 | 70 | — | — | — | 15 | 15 | 20 | 15 | 15 | 20 | — | — | 2 | 30 | 35 | 40 |
| 31. თერჯოლის | 7 | 25 | 30 | — | — | — | — | 5 | 10 | — | 5 | 10 | — | — | — | 5 | 10 | 15 |
| 32. ქ. ჭიათურა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | ბაღები | | | კარტოფილი | | | | | | | | | თამბაქო | | | | | | ჩ ა ი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შესხურება და შეფრქვევა | | | რგვა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | აღება | | | რგვა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | ნიადაგის დამუშავება | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 |
| 14. ყვარლის | 50 | 60 | 80 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 15. ლაგოდეხის | 90 | 95 | 95 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 0,8 | 34 | 66 | 12 | 33 | 37 | — | — | — |
| 16. სამგორის | 95 | 96 | 98 | 34 | 84 | 100 | 20 | 20 | 100 | 49 | 84 | 100 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 17. მცხეთის | 98 | 93 | 93 | 89 | 100 | 100 | — | — | 100 | 89 | 100 | 100 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 18. მარნეულის | 90 | 95 | 95 | 100 | 100 | 100 | 28 | 62 | 100 | — | — | — | 3 | 12 | 24 | 4 | 9 | 32 | — | — | — |
| 19. ბოლნისის | 60 | 60 | 70 | — | 75 | 80 | 28 | 75 | 80 | — | 75 | 90 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 20. წალკის | — | — | — | — | 13 | 33 | 17 | 54 | 83 | — | 21 | 25 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 21. დუშეთის | 77 | 78 | 80 | — | 7 | 18 | — | 18 | 24 | — | — | 7 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 22. თეთრიწყაროს | 80 | 85 | 90 | 3 | 21 | 23 | 8 | 16 | 72 | — | 20 | 91 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 23. დმანისის | 90 | 95 | 95 | 2 | 12 | 22 | 16 | 19 | 23 | — | 2 | 34 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 24. თიანეთის | — | — | — | — | 19 | 39 | — | 19 | 39 | — | 19 | 39 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 21. წყალტუბოს | 40 | 45 | 50 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 12 | 36 | 46 |
| 26. სამტრედიის | 40 | 50 | 60 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 13 |
| 27. წულუკიძის | 15 | 20 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 28. ვანის | 10 | 15 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 29. მაიაკოვსკის | 15 | 20 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 30. ზესტაფონის | 30 | 35 | 40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 31. თერჯოლის | 10 | 15 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 19 | 32 | 57 |
| 32. ქ. ჭიათურა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 6 |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | ჩაი | | | | | | ვენახები | | | | | | ციტრუსები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვლა | | | კრეფა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | შესხურება და შეფრქვევა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | შესხურება და შეფრქვევა | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 | 71 | 72 | 73 |
| 14. ყვარლის | — | — | — | — | — | — | 90 | 90 | 95 | 22 | 79 | 100 | — | — | — | — | — | — |
| 15. ლაგოდეხის | — | — | — | — | — | — | 72 | 92 | 95 | 39 | 57 | 89 | — | — | — | — | — | — |
| 16. სამგორის | — | — | — | — | — | — | 85 | 86 | 90 | 43 | 76 | 85 | — | — | — | — | — | — |
| 17. მცხეთის | — | — | — | — | — | — | 62 | 70 | 75 | 50 | 60 | 85 | — | — | — | — | — | — |
| 18. მარნეულის | — | — | — | — | — | — | 100 | 100 | 100 | 36 | 64 | 84 | — | — | — | — | — | — |
| 19. ბოლნისის | — | — | — | — | — | — | 100 | 100 | 100 | 30 | 62 | 80 | — | — | — | — | — | — |
| 20. წალკის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 21. დუშეთის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 22. თეთრიწყაროს | — | — | — | — | — | — | 32 | 65 | 70 | 50 | 70 | 85 | — | — | — | — | — | — |
| 23. დმანისის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 24. თიანეთის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 25. წყალტუბოს | 0,8 | 31 | 37 | — | — | — | — | 5 | 15 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 26. სამტრედიის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 27. წულუკიძის | 34 | 47 | 52 | — | — | 25 | — | — | 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 28. ვანის | — | — | — | — | — | — | — | — | 22 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 29. მაიაკოვსკის | — | — | — | — | — | — | 10 | 40 | 76 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 30. ზესტაფონის | — | — | — | — | — | — | 71 | 74 | 76 | 10 | 12 | 15 | — | — | — | — | — | — |
| 31. თერჯოლის | — | — | — | — | — | — | 31 | 76 | 88 | — | 7 | 10 | — | — | — | — | — | — |
| 32. ქ. ჭიათურა | — | — | — | — | — | — | 8 | 10 | 14 | — | — | — | — | — | — | — | — | — |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | მარცვლეული: ხვნა, მექანიზაციის პროცენტი, 1960 წ. | | | მარცვლეული: თესვა, მექანიზაციის პროცენტი, 1960 წ. | | | მარცვლეული: აღება, მექანიზაციის პროცენტი, 1960 წ. | | | სიმინდი: თესვა, მექანიზაციის პროცენტი, 1960 წ. | | | სიმინდი: აქედან კვადრატულ-ბუდობრივი, მექანიზაციის პროცენტი, 1960 წ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 33. საჩხერის | 56 | 78 | 89 | 17 | 27 | 50 | 40 | 48 | 68 | 28 | 39 | 40 | — | — | — |
| 34. ორჯონიკიძის | 15 | 26 | 27 | — | — | — | — | — | — | 5 | 9 | 15 | — | — | — |
| 35. ტყიბულის | 21 | 63 | 70 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 36. ონის | 14 | 32 | 35 | — | 14 | 27 | 14 | 24 | 28 | — | — | — | — | — | — |
| 37. ამბროლაურის | 28 | 39 | 47 | 14 | 21 | 25 | 15 | 17 | 20 | 10 | 21 | 25 | — | — | — |
| 38. ცაგერის | 11 | 31 | 32 | 16 | 35 | 35 | 22 | 22 | 22 | — | — | — | — | — | — |
| 39. აბაშის | 91 | 92 | 93 | — | — | — | — | — | — | 75 | 80 | 82 | — | 6 | 12 |
| 40. ცხაკაიას | 80 | 90 | 90 | — | — | — | — | — | — | 55 | 60 | 65 | 0,6 | 2 | 4 |
| 41. გეგეჭკორის | 81 | 87 | 92 | — | — | — | — | — | — | 36 | 59 | 79 | 0,5 | 1 | 5 |
| 42. ზუგდიდის | 81 | 89 | 92 | — | — | — | — | — | — | 27 | 40 | 60 | — | — | — |
| 43. ხობის | 86 | 91 | 96 | — | — | — | — | — | — | 73 | 74 | 76 | — | — | — |
| 44. წალენჯიხის | 45 | 57 | 60 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 45. ჩხოროწყუს | 55 | 62 | 66 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 5 |
| 46. მახარაძის | 77 | 87 | 87 | — | — | — | — | — | — | 23 | 60 | 70 | — | — | 2 |
| 47. ლანჩხუთის | 96 | 96 | 96 | — | — | — | — | — | — | 90 | 90 | 90 | — | — | — |
| 48. ჩოხატაურის | 56 | 60 | 63 | — | — | — | — | — | — | — | 30 | 40 | — | — | — |
| 49. მესტიის | — | 15 | 54 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 50. აფხაზეთის ასსრ | 56 | 58 | 60 | — | — | — | — | — | — | 30 | 40 | 54 | — | — | — |
| 51. აჭარის ასსრ | 47 | 50 | 55 | — | — | — | — | — | — | 10 | 27 | 35 | — | — | — |
| 52. სამხრეთ ოსეთის ა/ო | 67 | 83 | 84 | 80 | 90 | 92 | 73 | 74 | 74 | 71 | 72 | 74 | — | 12 | 20 |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | სიმინდი — მწკრივთაშორისი დამუშავება — მექანიზაციის პროცენტი — 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | სიმინდი — აღება — მექანიზაციის პროცენტი — 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | ბოსტნეული — თესვა — მექანიზაციის პროცენტი — 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | ბოსტნეული — მწკრივთაშორისი დამუშავება — მექანიზაციის პროცენტი — 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | ბოსტნეული — აღება — მექანიზაციის პროცენტი — 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | ბაღები — ნიადაგის დამუშავება — მექანიზაციის პროცენტი — 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 |
| 33. საჩხერის | 9 | 33 | 63 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 | 20 | 25 |
| 34. ორჯონიკიძის | 10 | 34 | 40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | 10 | 10 |
| 35. ტყიბულის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | 10 | 15 |
| 36. ონის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 37. ამბროლაურის | 10 | 15 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 38. ცაგერის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 39. აბაშის | 70 | 74 | 84 | — | — | — | 10 | 12 | 15 | 10 | 12 | 15 | | 1 | 2 | 30 | 30 | 30 |
| 40. ცხაკაიას | 55 | 55 | 58 | — | — | — | 12 | 15 | 20 | 12 | 15 | 20 | — | 3 | 5 | 20 | 25 | 30 |
| 41. გეგეჭკორის | 22 | 43 | 64 | — | — | — | — | 5 | 10 | — | 5 | 10 | — | — | — | 15 | 20 | 20 |
| 42. ზუგდიდის | 16 | 20 | 25 | — | — | — | 15 | 20 | 30 | 20 | 25 | 30 | — | 1 | 3 | 15 | 20 | 30 |
| 43. ხობის | 24 | 61 | 67 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 | 15 | 20 |
| 44. წალენჯიხის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | 10 | 12 |
| 45. ჩხოროწყუს | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 46. მახარაძის | 19 | 30 | 40 | — | — | — | 20 | 25 | 30 | 20 | 25 | 30 | — | 2 | 5 | 15 | 20 | 30 |
| 47. ლანჩხუთის | 80 | 90 | 90 | — | — | — | 15 | 20 | 25 | 15 | 20 | 25 | — | 1 | 3 | 15 | 20 | 30 |
| 48. ჩოხატაურის | 18 | 30 | 40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | 10 | 15 |
| 49. მესტიის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 50. აფხაზეთის ასსრ | 26 | 30 | 37 | — | — | — | 7 | 8 | 10 | 7 | 8 | 10 | — | | 2 | 12 | 22 | 25 |
| 51. აჭარის ასსრ | 29 | 35 | 47 | — | — | — | 8 | 10 | 12 | 10 | 10 | 12 | — | 2 | 5 | 15 | 18 | 25 |
| 52. სამხრეთ ოსეთის ა/ო | 17 | 30 | 40 | — | — | — | 20 | 22 | 25 | 30 | 30 | 35 | — | 2 | 4 | 25 | 40 | 60 |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | ბალები | | | კარტოფილი | | | | | | | | | თამბაქო | | | | | | ჩ ა ი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შესხურება და შეფრქვევა | | | რგვა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | აღება | | | რგვა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | ნიადაგის დამუშავება | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1935 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 |
| 33. საჩხერის | 16 | 20 | 25 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 34. ორჯონიკიძის | 5 | 10 | 10 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 35. ტყიბულის | 5 | 10 | 15 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 36. ონის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 37. ამბროლაურის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 38. ცაგერის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 39. აბაშის | 30 | 30 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 40. ცხაკაიას | 20 | 25 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 25 | 30 | 37 |
| 41. გეგეჭკორის | 15 | 20 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 42. ზუგდიდის | 15 | 20 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 43. ხობის | 10 | 15 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 44. წალენჯიხის | 5 | 10 | 12 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 25 | 39 | 41 |
| 45. ჩხოროწყუს | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 8 | 9 |
| 46. მახარაძის | 15 | 20 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 9 | 18 | 22 |
| 47. ლანჩხუთის | 15 | 20 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 48. ჩოხატაურის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 49. მესტიის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 50. აფხაზეთის ასსრ | 12 | 22 | 25 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 15 | 19 | 25 |
| 51. აჭარის ასსრ | 15 | 18 | 25 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 17 | 30 | 36 |
| 52. სამხრეთ ოსეთის ა/ო | 40 | 60 | 70 | — | — | 2 | — | 34 | 34 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

| რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები | ჩ ა ი | | | | | | ვენახები | | | | | | ციტრუსები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვლა | | | კრეფა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | შესხურება და შეფრქვევა | | | მწკრივთაშორისი დამუშავება | | | შესხურება და შეფრქვევა | | |
| | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | | მექანიზაციის პროცენტი | | |
| | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. | 1960 წ. | 1962 წ. | 1965 წ. |
| 1 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 | 71 | 72 | 73 |
| 33. საჩხერის | — | — | — | — | — | — | 74 | 75 | 90 | 8 | 36 | 49 | — | — | — | — | — | — |
| 34. ორჯონიკიძის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 35. ტყიბულის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 36. ონის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 37. ამბროლაურის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 38. ცაგერის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 39. აბაშის | — | 9 | 19 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 40. ცხაკაიას | 11 | 14 | 18 | — | — | — | 1 | 5 | 8 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 41. გეგეჭკორის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 42. ზუგდიდის | 13 | 35 | 55 | 2 | 2 | 10 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 43. ხობის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 44. წალენჯიხის | 27 | 34 | 49 | — | — | — | — | 11 | 17 | 11 | 15 | 17 | — | — | — | — | — | — |
| 45. ჩხოროწყუს | — | 4 | 6 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 46. მახარაძის | 11 | 17 | 17 | 3 | 5 | 6 | 50 | 50 | 60 | — | — | — | 5 | 8 | 15 | 80 | 85 | 85 |
| 47. ლანჩხუთის | 8 | 16 | 17 | — | — | — | 50 | 50 | 60 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 48. ჩოხატაურის | — | 14 | 60 | — | — | 5 | 15 | 20 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 49. მესტიის | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 50. აფხაზეთის ასსრ | 11 | 29 | 33 | — | — | — | 20 | 20 | 25 | 4 | 8 | 10 | 4 | 35 | 40 | 30 | 85 | 40 |
| 51. აჭარის ასსრ | 13 | 22 | 31 | — | 2 | 23 | 6 | 10 | 15 | — | — | — | 2 | 5 | 8 | 36 | 40 | 45 |
| 52. სამხრეთ ოსეთის ა/ო | — | — | — | — | — | — | 4 | 10 | 12 | — | 5 | 15 | — | — | — | — | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 7 სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ

„სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 იანვრის № 34 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 იანვრის № 34 დადგენილება „სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილი გეგმა ფართო პროფილის მექანიზატორთა მომზადებისა 1962 — 1965 წლებისათვის, № 1 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს ვადა მოსწავლეთა მიღებისა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად — ყოველი წლის ნოემბერი.

4. 1962 — 1965 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების უზრუნველყოფის მიზნით, მიღებულ იქნას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარედგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, იმის შესახებ, რომ მოეწყოს ახალი სოფლის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მოქმედი სასწავლებლები, №№ 2 და 3 დანართების თანახმად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას":

ა) უზრუნველყოს 1962 — 1965 წლებში საჭირო ტექნიკით სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს განაცხადებით;

ბ) დაუთმოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს სათანადო სარემონტო სახელოსნოები მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკისათვის.

6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 იანვრის № 34 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, დაევალოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს, 1962 წლიდან დაწყებული, ფეხსაცმლისა და საცვლების დამატებითი ფონდები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის.

7. მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს, როგორც გამონაკლისი, უფლება საერთო საცხოვრებლებში საჭირო ფართობის უქონლობის დროს იჯარით აიღოს 1962 — 1963 წლებში მოქალაქეებისაგან შენობები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა დასაბინავებლად იმ ანგარიშით, რომ თვითეულ მოსწავლეზე გადახდილ იქნას არა უმეტეს 3 მანეთისა თვეში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უზრუნველყოს 1963 — 1964 წლებში 200 ნაბეჭდ ფორმამდე სახელმძღვანელოების და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოების თარგმნა ქართულ ენაზე და გამოცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სას-

წავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებ-ლებისათვის.

9. რჩევა მიეცეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს:

ა) მიიღოს ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან, „საქსოფლტექნიკის" განყოფილებებთან, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოსთან, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებთან და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთად უშუალო მონაწილეობა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტებაში, მოაწყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა წარმოების საუკეთესო მუშათა შერჩევისა და სასწავლებლებში გაგზავნისათვის;

ბ) განახორციელოს შეფობა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ახალი სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობასა და იმაზე, რომ შეიქმნას ამ სასწავლებლებში კარგი სასწავლო-საწარმოო ბაზა.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1962 წ. 13 თებერვალი, № 119.

საქართველოს კპ ცენტრალური კომი-
ტეტისა და საქართველოს სსრ მინის-
ტრთა საბჭოს 1962 წლის 13 თებერვ-
ლის № 119 დადგენილების
დანართი № 1

# გ ე გ მ ა

მექანიზატორთა კადრების მომზადებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში

**1962 — 1965 წლებისათვის**

| | 1962-1965 წლები | | | | | აქედან პროფესიები და წლები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1962 წელი | | | | | 1963 წელი | |
| | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტრიფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამ. მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტრიფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამ. მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ | — | 280 | 500 | 1100 | 600 | — | 50 | 50 | 200 | 100 | — | 60 |

| 1 | 1962-1965 წლები | | | | | აქედან პროფესიები და წლები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1962 წელი | | | | | 1963 წელი | |
| | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამ. მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამ. მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებ. საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო | 4000 | — | — | — | — | 1000 | — | — | — | — | 1000 | — |
| საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო | — | — | 1150 | — | — | — | — | 250 | — | — | — | — |
| სულ: | 4000 | 280 | 1650 | 1100 | 600 | 1000 | 50 | 300 | 200 | 100 | 1000 | 60 |

| | აქედან პროფესიები და წლები | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1963 წელი | | | 1964 წელი | | | | | 1965 წელი | | | | |
| | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკლები |
| | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ | 100 | 250 | 150 | — | 70 | 150 | 200 | 150 | — | 100 | 200 | 350 | 200 |

| | აქედან პროფესიები და წლები | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1963 წელი | | | 1964 წელი | | | | | 1965 წელი | | | | |
| | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციის და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციის და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკლები | მემანქანე ტრაქტორისტები | მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები | სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორები | სოფლის ელექტროფიკაციის და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორები | ტრაქტორების, ავტომობილების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკლები |
| | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებ. საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო | — | — | — | 1000 | — | — | — | — | 1000 | — | — | — | — |
| საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო | 300 | — | — | — | — | 300 | — | — | — | — | 300 | — | — |
| ს უ ლ: | 400 | 250 | 150 | 1000 | 70 | 450 | 300 | 150 | 1000 | 100 | 500 | 350 | 200 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 თებერვლის № 119 დადგენილების
დანართი № 2

# გ ე გ მ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს ახალი სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობისა 1963 — 1964 წლებისათვის

(კაპიტ. დაბანდებანი ათას მანეთობ.)

| სასწავლებელი | სასწავლებლების რაოდენობა | კაპიტალდაბანდებანი | აქედან წლები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1963 | | 1964 | |
| | | | რაოდენობა | თანხა | რაოდენობა | თანხა |
| სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ობიექტთა კომპლექსი (ტიპიური პროექტებით) 400 კაცისათვის. | 3 | 2700 | 1 | 900 | 2 | 1800 |

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 თებერვლის № 119 დადგენილების
დანართი № 3

# კაპიტალური დაბანდებანი

**სასწავლო-საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო შენობათა მშენებლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს ხაზით სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მოქმედ სასწავლებლებში 1963 — 1965 წლებისათვის**

(კაპიტ. დაბანდებანი ათას მანეთობ.)

| | სასწავლო-საწარმოო შენობები | | | | | | | | | საბინაო-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასწავლო კორპუსი | | კორპუსები პრაქტიკული მეცადინეობისათვის | | სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები | | მანქანების შესანახი გარაჟები 20-ადგილიანი თვითეული | | სულ თანხა | მოსწავლეთა საცხოვრებლები 150-ადგილიანი თვითეული | | სასადილოები 100-ადგილიანი თვითეული | | სულ თანხა | სულ კაპიტალდაბანდებანი |
| | რაოდენობა | თანხა | რაოდენობა | თანხა | რაოდენობა | თანხა | რაოდენობა | თანხა | | რაოდენობა | თანხა | რაოდენობა | თანხა | | |
| სულ: | 5 | 600 | 5 | 350 | 2 | 100 | 5 | 150 | 1200 | 8 | 800 | 2 | 100 | 900 | 2100 |
| მათ შორის წლების მიხედვით: | | | | | | | | | | | | | | | |
| 1963 | 2 | 240 | 1 | 70 | 2 | 100 | 5 | 150 | 560 | 3 | 300 | 2 | 100 | 400 | 960 |
| 1964 | 2 | 240 | 2 | 140 | — | — | — | — | 380 | 3 | 300 | — | — | 300 | 680 |
| 1965 | 1 | 120 | 2 | 140 | — | — | — | — | 260 | 2 | 200 | — | — | 200 | 469 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასლი

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# დადგენილება № 34

**1962 წლის 10 იანვარი**

მოსკოვი, კრემლი

## სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ უზრუნველყონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით.

მაგრამ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის მექანიზატორთა და სხვა საწარმოო კადრების მომზადების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების ქსელი, განსაკუთრებით ყამირი მიწების რაიონებში, ვერ უზრუნველყოფს მექანიზატორთა კადრების მომზადებას სოფლის მეურნეობისათვის საჭირო რაოდენობით. სასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკმაო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მექანიზატორთა კადრების მომზადება მთელ რიგ შემთხვევებში წარმოებს მოძველებული სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, რომლებიც ვერ ასახავენ ისეთ მოწინავე მექანიზატორთა და მეცხოველეთა გამოცდილებას, როგორიც არიან გიტალოვი, მანუკოვსკი, სვეტლიჩნი, ტიუპკო, მელნიკი, მელნიჩენკო, ზაბოტინიხი და სხვები.

ბევრ სასწავლებელს არ მოეპოვება მოსწავლეთა სამეცადინო სადგომები, აგრეთვე ლაბორატორიები და სახელოსნოები, მთელ რიგ სასწავლებლებს არ გააჩნიათ საერთო საცხოვრებლები მოსწავლეებისათვის და საცხოვრებელი ფართობი მასწავლებლებისა და ოსტატებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზოგიერთ სასწავლებელს არა აქვს სასწავლო მეურნეობები და სუსტად არიან აღჭურვილი ისეთი ახალი მანქანების, იარაღებისა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა სათანადო კომპლექტით, რომლებითაც სარგებლობენ ქვეყნის მოწინავე მექანიზატორები. მოსწავლეები არ იღებენ საკმაო ცოდნას სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის, მოწინავე აგრონომიისა და ზოოტექნიის საფუძვლების დარგში. არადამაკმაყოფილებლად წყდება ფართო პროფილის კადრების (რამდენიმე შეთავსებული პროფესიების) მომზადების ამოცანა, რაც ხელს არ უწყობს მექანიზატორთა სრულად გამოყენებას მთელი წლის განმავლობაში.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კვალიფიციურ-მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმე და დაკმაყოფილდეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მოთხოვნილება ამ კადრებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ, 1962 წლიდან დაწყებული, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შემდეგ ძირითად სპეციალობათა მიხედვით:

ა) **„მემანქანე-ტრაქტორისტი“** (ფართო პროფილისა, რომელსაც მოეპოვება საჭირო ცოდნა და ტრაქტორებზე, მარცვლის, სიმინდის, სილოსსაღებ და სხვ. კომბაინებზე, ავტომობილებსა და რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის პრაქტიკული ჩვევები ჩვენი ქვეყნის ცალკეული ზონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების შესაბამისად, აგრეთვე აგრონომიის, საზეინკლო-სარემონტო საქმის ცოდნა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის პრაქტიკული ჩვევები) — სწავლების ორი წლის ვადით;

ბ) **„მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორი“** (ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით, რომელსაც მოეპოვება საჭირო ცოდნა და ტრაქტორების, ავტომობილების, აგრეთვე იმ მანქანებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის პრაქტიკული ჩვევები, რომელსაც მეცხოველეობის მექანიზაციისათვის იყენებენ, ამასთან აქვს ფერმების მოწყობილობის მონტაჟისა და რემონტის ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები, აგრეთვე იცნობს ზოოტექნიის საფუძვლებს) — სწავლების ორი წლის ვადით;

გ) **„სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა მექანიზატორი“** (რომელსაც მოეპოვება საჭირო ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები ტრაქტორებზე, ექსკავატორებზე, ბულდოზერებზე, სკრეპერებზე, გრეიდერებზე, არხსათხრელ მანქანებზე სამუშაოდ; აგრეთვე ცოდნა, ზონალური პირობების მიხედვით, რაც საჭიროა სატუმბო, საწვიმარი დანადგარებისა და სხვა სპეციალური მანქანების და მოწყობილობის მომსახურებისა და მიმდინარე რემონტისათვის) — სწავლების ორი წლის ვადით;

დ) **„სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორი“** (რომელსაც მოეპოვება საჭირო ცოდნა ელექტროხაზებისა და სასოფლო სადგურების და ქვესადგურების ქსელის, ელექტროტექნიკური დანადგარებისა და კავშირგაბმულობის ქსელის მომსახურებისათვის) — სწავლების წლინახევრის ვადით;

ე) **„ზეინკალი ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დარგში“** (რომელსაც მოეპოვება საჭირო ცოდნა სარემონტო ქარხნებსა და სარემონტო სახელოსნოებში მუშაობისათვის) — სწავლების წლინახევრის ვადით.

ზემოაღნიშნულ სპეციალობათა მიხედვით ორწლიანი სწავლების მომზადებაზე გადასვლა განხორციელდეს თანდათანობით 1962 — 1965 წლების განმავლობაში.

2. დაწესდეს, რომ მექანიზატორთა კადრების მომზადება კოლმეურნეობებისათვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1962 წლიდან დაწყებული, წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

იმისათვის, რომ დროზე აუნაზღაურდეთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს ის ხარჯები, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებით მათთვის მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად საბჭოთა მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით, — უფლება მიენიჭოთ სამინისტროებსა და საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს აწარმოონ ანგარიშსწორება სასწავლებლებთან ცენტრალიზებული წესით.

კოლმეურნეობებისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადება მოკლევადიან კურსებზე წარმოებს კოლმეურნეობათა სახსრების ანგარიშში.

აღნიშნული კურსების დაფინანსება მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე მოხდეს საჭირო შემთხვევებში, მხოლოდ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით.

3. მიეცეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლის და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ყველა მოსწავლეს, 1962 წლიდან დაწყებული, იმ ტაბელით გათვალისწინებული სპეცტანსაცმლის დამატებით, რომელიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 ოქტომბრის № 1223 დადგენილებით, ფეხსაცმელი და საცვლები, დანართის თანახმად.

4. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას, 1962 წლიდან დაწყებული, ფართო პროფილის მექანიზატორთა მომზადება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ სპეციალობათა მიხედვით და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოება იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოკავშირე რესპუბლიკების მოთხოვნილება სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მექანიზატორთა კადრებზე;

ბ) განსაზღვრონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნან სოფელ ადგილებში, ამასთან გაითვალისწინონ გეგმებით საჭირო სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყოფა რესპუბლიკებისათვის დაწესებულ კაპიტალდაბანდებათა ფარგლებში ამ სასწავლებლებისათვის სასწავლო-საწარმოო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების ასაშენებლად, აგრეთვე დააწესონ ამ სასწავლებლების გადაყვანის ვადები;

გ) დააწესონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების ვადები ცალკეული ზონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით;

დ) უზრუნველყონ, რომ გამოიყოს 1962—1963 წლებში რესპუბლიკებისათვის დაწესებულ საჭირო რაოდენობის კაპიტალდა-

ბანდებათა ფარგლებში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სას-წავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებ-ლებისათვის ტრაქტორები და იმ ახალი მანქანების, იარაღებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შესაბამისი კომპლექტები, რომ-ლებითაც სარგებლობენ ქვეყნის მოწინავე მექანიზატორები, აგ-რეთვე სისტემატურად უზრუნველყონ სასწავლებლები ახალი მან-ქანებით, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის შემოდის სერიუ-ლი წარმოების პირველი პარტიებიდან;

ე) მტკიცედ დაიცვან წესი ახალგაზრდობის გაგზავნისა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფე-სიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კოლმეურნეობებისა და საბჭო-თა მეურნეობების საგზურებით, უზრუნველყონ მექანიზატორთა დაბრუნება სწავლების დამთავრების შემდეგ ამავე მეურნეობებში სამუშაოდ, აგრეთვე სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამო-ყენების გაუმჯობესება და მათთვის ისეთი საბინაო-საყოფაცხოვ-რებო პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მექანიზა-ტორთა მუდმივი კადრების შენარჩუნებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

5. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათ-ლების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმებით, შეიმუშაონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ აშენდეს 1963 — 1965 წლებში სასწავლო-სა-წარმოო და საცხოვრებელი სადგომები სოფლის მეურნეობის მექა-ნიზაციის მოქმედი სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების გასაფართოებლად, რომლებიც სო-ფელ ადგილებში იმყოფებიან, და წარმოუდგინონ ეს წინადადება-ნი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის პირველ კვარ-ტალში.

6. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს:

ა) შეიმუშაოს და გამოსცეს 1962 წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის ახალი სასწავლო პროგრამები და სასწავლო გეგმები ამ დადგენილების 1 მუხლით დაწესებულ სპეციალობათა ნუსხის მიხედვით, მოწინავე მექანიზა-ტორთა და მეცხოველეთა ამხ. გიტალოვის, მანუკოვსკის, სვეტლი-ჩნის, ტიუპკოს, მელნიკის, მელნიჩენკოს, ზაბოტინიხისა და სხვათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების საფუძველზე, აგრეთვე შეიმუშაოს და გამოსცეს 1962 წლის განმავლობაში დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებშიაც გაშუქებული იქნება ქვეყნის მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილება და მუშაობის ორგანიზაცია;

ბ) შეიმუშაოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით დაამტკიცოს სანიმუშო ნუსხა იმ ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილების და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, რომლებიც სჭირდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს მაღალკვალიფიციურ მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად, ჩვენი ქვეყნის ცალკეული ზონების კონკრეტული პირობების შესაბამისად;

გ) სამი თვის ვადაში შეიმუშაოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად ღონისძიებანი თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების და საკლასო-ლაბორატორიული მოწყობილობის წარმოების გაფართოებისათვის იმ მოცულობით, რაც დააკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოთხოვნილებას;

დ) დაამტკიცოს 1962 წლის პირველ კვარტალში საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტექნიკასთან" ერთად ერთიანი სახელმწიფო ფორმა მოწმობისა სოფლის მეურნეობის ფართო პროფილის მექანიზატორის სპეციალობის მიკუთვნების შესახებ და დაადგინოს მისი გაცემის წესი.

7. რჩევა მიეცეთ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს:

ა) მიიღონ უშუალო მონაწილეობა ადგილობრივ საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებთან, „სოიუზსელხოზტეხნიკის" განყოფილებებთან, აგრეთვე პროფ-ტექნიკური განათლების სათანადო ორგანოებთან ერთად სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტებაში, მოაწყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა წარმოების საუკეთესო მუშათა შერჩევისა და სასწავლებლებში გაგზავნისათვის;

ბ) ფართოდ მოიზიდონ ქალიშვილები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ

სასწავლებლებში სწავლებისათვის და მექანიზატორთა პროფესიების დაუფლებისათვის;

გ) განახორციელონ შეფობა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ახალი სასწავლებლებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობასა და იმაზე, რომ შეიქმნას ამ სასწავლებლებში კარგი სასწავლო-საწარმოო ბაზა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 იანვრის № 34 დადგენილების
**დანართი**

# ს ი ა

## ფეხსაცმლისა და თეთრეულისა, რომელიც დამატებით უნდა მიეცეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს

| | ზომის ერთეული | რაოდენობა | ტარების ვადა |
|---|---|---|---|
| ფეხსაცმელი დეკეულის ტყავისა და ქრომისა | წყვ. | 1 | 1 წელი |
| კაცის თეთრეული | კომპლექტი | 4 | 2 წელი |
| ქალის თეთრეული | „ | 4 | 2 წელი |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თეთრეულის ერთი კომპლექტი, რომლითაც მოსწავლეები სარგებლობენ, მათ საკუთრებაში რჩება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



**8** **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 დეკემბრის № 1107 და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 დეკემბრის № 1091 დადგენილებებთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 დეკემბრის № 1107 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის დარგების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ახალი ფორმების შემოღებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ“, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 დეკემბრის № 1091 დადგენილებისა ამავე საკითხზე, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 26 სექტემბრის № 1042 დადგენილება „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორების, მექანიკოსების და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ერთწლიან კურსებზე მსმენელთა მიღებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აგრონომების დახელოვნების კურსების მოწყობის შესახებ“.

2. მუხლი 15 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 3 დეკემბრის № 1424 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1948 წლის 1 ნოემბრისა და 19 ნოემბერს მეცხოველეობის საკითხებზე გამოცემული განკარგულებების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 13 მაისის № 589 დადგენილება „კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადასამზადებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივმოქმედ ექვსთვიან კურსებზე მეცადინეობის დაწყების შესახებ“.

4. მუხლი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 21 მარტის № 347 დადგენილებისა „მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების მუშაობის გაუმჯობესებისა და კოლმეურნეობებში ფრინველის მოზარდეულის გამოზრდის ზომების შესახებ“.

5. „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილების მე-7 მუხლის ქვეპუნქტი „დ“ და მუხლი 8.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი. 1962 წ. 27 თებერვალი, № 150.

## 9 კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმეში შეზღუდვების გაუქმების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის თავისუფალი რეალიზაციის საქმეში უკანასკნელი წლების მანძილზე შემოღებული შეზღუდვის ადმინისტრაციული ზომები არ შეესაბამება ამ პროდუქტების შესყიდვის ახლანდელ პირობებს.

ამჟამად პარტიული, საბჭოთა, დამამზადებელი და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანა ის არის, რომ მოსახლეობაში მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების საფუძველზე უზრუნველყონ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, აგრეთვე სასოფლო საბჭომ პირველ რიგში შეასრულოს სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის შესყიდვის სახელმწიფო გეგმები და მხოლოდ ამ პროდუქტების შესყიდვის გეგმების მათ მიერ შესრულების შემდეგ ფართოდ მოაწყონ ზედმეტი ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და

სხვა პროდუქტების მიყიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაუქმდეს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ყველა წინათ მიღებული დადგენილება, რომლებიც ზღუდავენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის თავისუფალ რეალიზაციას.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს გააძლიერონ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმების პირველ რიგში შესრულებისათვის. დამამზადებელი ორგანოების მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ მათ წლის დამდეგიდანვე განსაზღვრონ სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტების რაოდენობა, რომელიც შესყიდულ უნდა იქნას სასოფლო საბჭოებისა და მეურნეობების მიხედვით, ამასთან უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის რაიონული გეგმების უცილობლივ შესრულება.

3. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყოს „კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის დადგენილების უცილობლივ შესრულება. ძირეულად გააუმჯობესოს კოლმეურნეებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის შესყიდვა იმ ანგარიშით, რომ კოლმეურნეებს არ დასჭირდეთ ზედმეტი პროდუქტების გადაზიდვა გასაყიდად შორ მანძილზე და არ მოსცდნენ კოლმეურნეობებში საწარმოო მუშაობას.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი

**10** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 914 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ**

იმის გამო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1961 წლის 7 ოქტომბერს მიიღო № 914 დადგენილება „ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 აგვისტოს № 861 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 24 ივლისის № 564 დადგენილება „ცეკავშირის საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებათა შესახებ".

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 29 ივნისის № 653 დადგენილება „ქალაქ ზუგდიდსა და ბორჯომში არყის, არყის ნაწარმისა და ღვინის გაცემის მრეწველობის საბითუმო-გამსაღებელი ბაზების მოწყობის შესახებ".

3. მუხ. 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 ოქტომბრის № 1258 დადგენილებისა „საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებათა შესახებ".

4. „ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 დეკემბრის № 1508 დადგენილების მე-7 მუხლი და მე-16 მუხლის პირველი აბზაცი.

5. მუხ. 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 229 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ გამომუშავებული სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ".

6. მუხლები 1 და 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 329 დადგენილებისა „სასტუმროების, რესტორნების, სასაუზმეების, კაფეების, ლუდხანებისა და სასადილოების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ტარიფების დაკლების შესა-

ხებ“ იმ ელექტროენერგიის ტარიფების ნაწილში, რომელიც ეძლევათ რესტორნებს, სასაუზმეებს, კაფეებს, ლუდხანებსა და სასადილოებს.

7. „ზედა ტანსაცმლისა და ქუდების ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 14 ივლისის № 1055 დადგენილების პირველი მუხლის ქვეპუნქტი „ბ“ და მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

8. მუხ. 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 19 აგვისტოს № 1268 დადგენილებისა „ტყავის ფეხსაცმლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

9. მუხლები 4 და 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 აგვისტოს № 1160 დადგენილებისა „ფეხსაცმლის ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ“.

10. მუხლები 1-3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 1 ოქტომბრის № 1301 დადგენილებისა „სავაჭრო საწარმოებისათვის მიცემული ელექტროენერგიის ტარიფების შემცირებისა და იჯარით აღებული სავაჭრო-სასაწყობო სადგომების რემონტის მოწესრიგების შესახებ“.

11. მუხლები 8, 9, 10, 11, 12 და 13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 ივლისის № 450 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის 1958 წლის მესამე კვარტალის საკრედიტო და საკასო გეგმებისა და საქონლის საბაზრო ფონდების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე მ. კუჩავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1962 წ. 8 იანვარი, № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11 შრომისუნარიანობის ყველა სახის ექსპერტიზის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში თავმოყრის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ არსებული პრაქტიკა შრომისუნარიანობის ექსპერტიზისა საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში ინვალიდობის ჯგუფის დასადგენად და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დაწესებულებებში საერთო და პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის დასადგენად არ არის მიზანშეწონილი, იწვევს დუბლირებას და შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორჯერ ჩატარებას, სახელმწიფო სახსრების უნაყოფო ხარჯვას და ხშირად იწვევს ერთმანეთის საწინააღმდეგო დასკვნებს ერთი და იგივე პირის მიმართ. ინვალიდები ბევრ დროსა და ძალას ხარჯავენ საჭირო დოკუმენტების განმეორებით შეგროვებასა და რაიონებიდან რესპუბლიკურ ორგანოებში სიარულზე, ვინაიდან სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას არ შეუძლია, სპეციალისტთა უყოლობის გამო, შემოწმების ჩატარება რაიონებში. ამავე დროს საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიები მოიპოვება ყველა რაიონში.

იმ მიზნით, რომ შრომისუნარიანობის ყველა სახის ექსპერტიზა თავმოყრილ იქნას საექიმო შრომითს საექსპერტო კომისიებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს საერთო და პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის დადგენის ყველა სახის ექსპერტიზა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გამგებლობიდან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გამგებლობაში.

2. გადიდდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის შტატები ექიმის ერთი ერთეულით, რისთვისაც გადაეცეს მას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წევრი ქირურგის 0,5 და ნევროპათოლოგის 0,5 თანამდებობა.

3. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობის მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით, დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს ასიგნობანი კომისიების შესანახად სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტის საერთო ასიგნობათა ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჯუჯავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 8 იანვარი, № 13

**12** **იმ პირთა გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელთაც დიდი შემოსავალი აქვთ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებიდან**

1. დაწესდეს, რომ საქალაქო ადგილებში მცხოვრები მოქალაქენი, გარდა კოლმეურნეებისა, რომელთაც წელიწადში აქვთ 1.200 მანეთზე მეტი შემოსავალი მეფუტკრეობისაგან, მეფრინველეობისაგან, მეკურდღლეობისაგან, კვალსათბურებსა და სათბურებში ბოსტნეულის მოყვანისა და სხვა ასეთი მოსაქმეობისაგან, დაიბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით ამ შემოსავლისათვის „მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 13 აპრილის ბრძანებულების მე-19 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით, თუ ამ მოქალაქეებზე არ ვრცელდება მოქმედება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებისა „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“.

მოქალაქეებს საშემოსავლო გადასახადით დაბეგრავენ საფინანსო ორგანოები, თანახმად მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მიღებული იქნება შემოსული და გულმოდგინედ შემოწმებული და დასაბუთებული მასალების საფუძველზე.

დასაბეგრავ შემოსავლად ითვლება საერთო თანხა, რომელიც მოქალაქემ მიიღო მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის თავისი მეურნეობის პროდუქციის მიყიდვისაგან იმ ხარჯების გამოკლებით, რაც დაკავშირებულია ამ პროდუქციის მიღებასთან.

2. ეს დადგენილება ძალაში შედის 1962 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 18 იანვარი, № 48

**13** **„წყლისა და ქარის ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 ივნისის № 382 დადგენილებასთან დაკავშირებული საკითხები**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ-ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 ივნისის № 382 დადგენილების მე-2 მუხლის შესაცვლელად, დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნიადაგობრივი გამოკვლევის სამუშაოები, ნიადაგობრივი რუკების შედგენით, ეროდირებული ნიადაგების გამორკვევით და რეკომენდაციების მიცემით მათი ნაყოფიერების აღსადგენად წარმოებს შესაბამისი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სხვა მიწათმოსარგებლე უწყებებისა და ორგანიზაციების სახსრების მოზიდვის ხარჯზე.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სოხუმის გაგრისა და გუდაუთის რაიაღმასკომებს საშუალება მისცენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გადაწყვიტოს იმ მიწის ნაკვეთებზე მეწყერსაწინააღმდეგო და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხები, რომლებიც მდებარეობენ რკინიგზის რაიონში და სადაც ადგილი აქვს მეწყრისა და ეროზიის მოვლენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



3. დავავალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აცნობონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ „საქსოფლტექნიკას“ მოეპოვება სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობა და ტრაქტორის მისაბმელი მოწყობილობანი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოთა წარმოების დროს, და აღმოუჩინონ მათ სათანადო დახმარება აღნიშნული მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენაში.

4. დავავალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად ჩაატარონ სოხუმში 1962 წლის პირველ ნახევარში საოლქო თათბირი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეროზიული მოვლენების თანამედროვე მდგომარეობისა და მათთან ბრძოლის საკითხებზე, საქართველოს სსრ ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციისა და ინსტიტუტის მონაწილეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 19 იანვარი, № 53

## 14 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მთავრობის მიერ წინა წლებში მიღებული ზოგიერთი დადგენილება მოძველდა ან ფაქტიურად ძალადაკარგულად ითვლება მათ შემცველ დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა მიღების გამო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, დართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 19 იანვარი, № 55

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 19 იანვრის № 55
დადგენილებით

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებიც ცნობილია ძალადაკარგულად

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 14 ნოემბრის № 1565 დადგენილება „საქართველოს სსრ დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენის წესის შესახებ“ (კან. კრ. № 33, მუხ. 208).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 29 ივნისის № 752 დადგენილება „საქართველოს სსრ საკურორტო ადგილებში პასპორტების ჩაწერისათვის ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების წესის შესახებ“ (კან. კრ. № 23, მუხ. 136).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 17 მაისის № 872 დადგენლება „წითელი არმიის რიგებში მობილიზებულ მოქალაქეთა ოჯახებისათვის საბავშვო ბაღებში ბავშვთა შესანახი შესატანების გადახდის მხრივ შეღავათების მინიჭების შესახებ“. (კან. კრ. № 12, მუხ. 47).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის

5 აპრილის № 603 დადგენილება „ომისა და სამხედრო სამსახურის ინვალიდობის, მათთან გათანაბრებული პირებისა და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრ. № 14, მუხ. 89).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 9 ივლისის № 1267 დადგენილება „წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის შვილების სწავლის ფასის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ“ (კან. კრ. № 23, მუხ. 138).

## 15 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 ნოემბრის № 1020 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

„საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 ნოემბრის № 1020 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 მარტის № 188 დადგენილების მე-17 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი.

2. მუხ. 21 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 30 ივლისის № 1136 დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, შენახვისა და გასაღების ზედნადები ხარჯების შემცირების და დამამზადებელი ორგანოების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 აგვისტოს № 1088 დადგენილება „1953 წლის მოსავლის საზამთროსა და ნესვის დამზადების და რეალიზაციის გეგმის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 17 მაისის № 233 დადგენილება „თამბაქოს წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5. „მატყლის წარმოების და დამზადების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 22 ივნისის № 301 დადგენილების მე-6 მუხლის ქვეპუნქტები „ბ", „გ" და „დ".

6. მუხ. 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 22 ივნისის № 302 დადგენილებისა „ლუდის სახარში ქერის დამზადების საქმის გაუმჯობესების ზომების შესახებ".

II. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 ნოემბრის № 1020 დადგენილებით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 20 ივლისის № 7846 განკარგულების 1 მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენთსაშენებისათვის დამამზადებელი პუნქტებისა და ხორცკომბინატების შეშვეობით მარცვლის და პირუტყვის საბჭოთამეურნეობათშორისო გადაცვლის ანგარიშსწორების შემდეგი წესი:

ა) მარცვალი და პირუტყვი, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობები და ცხენთსაშენები აბარებენ გადასაცვლელად, ანაზღაურდება როგორც ისეთი პროდუქცია, რომელიც სახელმწიფოს ბარდება დაწესებული ჩასაბარებელი ფასებით;

ბ) საბჭოთა მეურნეობები და ცხენთსაშენები, რომლებიც იღებენ მარცვალსა და პირუტყვს გადაცვლის წესით, აანაზღაურებენ მათ მარცვლისა და პირუტყვის მიღების ზონის ჩასაბარებელი ფასებით.

იმ შემთხვევებში, როდესაც მარცვლისა და პირუტყვის გეგმური თვითღირებულება საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენთსაშენებისათვის დამტკიცებულია ისეთი ოდენობით, რაც აღემატება მარცვლისა და პირუტყვის ღირებულებას შესყიდვის ფასებში, მათ შეაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტში განსხვავება მარცვლის და პირუტყვის გეგმურ თვითღირებულებასა და დამამზადებელი ორგანიზაციის მიერ გადახდილ ფასს შორის.

ძალადაკარგულად ითვლება:

1. მუხ. 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 ნოემბრის № 2320 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარებული ჩაის ფოთლის და უზბეკეთის სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და ტაჯიკეთის სსრ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მებამბეობების საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარებული ნედლი ბამბის ჩასაბარებელი ფასების შემცირების შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა



2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 დეკემბრის № 8321 განკარგულების ის ნაწილი, რომელიც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 15 აპრილის № 727 დადგენილებით დაწესებული ფასების გავრცელებას მარცვალზე, ნედლ ბრინჯზე, სოიაზე მზესუმზირაზე, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის ხორცზე, კვერცხზე, რომელიც სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ ორგანიზაციებს ბარდება, მატყლზე (გარდა ყარაკულის ცხვრის მქისე მატყლისა), ხილზე, ყურძენზე, კენკრაზე, ბაღჩეულ კულტურებსა და სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგების სხვა პროდუქციაზე, აგრეთვე რძეზე, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ლიტვის სს რესპუბლიკაში, ლატვიის სს რესპუბლიკაში, ესტონეთის სს რესპუბლიკასა და კარელიის ასს რესპუბლიკაში".

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 13 აგვისტოს № 1102 დადგენილება „ეთერზეთოვანი და წამლეული კულტურების ნედლეულის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ" (გარდა მე-4 მუხლისა).

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 8 ოქტომბრის № 6079 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 19 იანვარი, № 56

## 16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების დამატების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაეკისრა ზოგიერთი ფუნქცია, რომლებსაც წინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასრულებდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 აპრილის № 192 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტები:

ზ) ანალიზი გაუკეთოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობას და საფინანსო მდგომარეობას, ანალიზი გაუკეთოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმდინარე გეგმების შესრულებას და ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მსვლელობას და მოამზადოს წინადადებანი ამ საკითხებზე;

თ) გაანაწილოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე მასალის სახელმწიფო რესურსები, ჩაის თესლის ჩათვლით, დაგეგმოს მრავალწლიანი ნარგავების ნერგის გამოყვანა და განაწილება;

ი) შეიმუშაოს შიგარესპუბლიკური გადასახლების გეგმა იმ მასალების საფუძველზე, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის აღმასკომი, რაიაღმასკომები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო წარადგენენ, შეისწავლოს იმ მეურნეობათა ეკონომიკა და განვითარების პერსპექტივები, რომლებიც დამატებით ჩასახლებას საჭიროებენ;

კ) განიხილოს ახალი სარწყავი ან ამოშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების პროექტები და მოამზადოს ამ პროექტების გამო წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საჭირო ღონისძიებათა კომპლექსს ასეთი მიწების დასახლებისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის.

2. დებულებისათვის ახალი ქვეპუნქტების დამატებასთან დაკავშირებით, ლიტერები დებულების ქვეპუნქტებისა „ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო,“, შესაბამისად შეიცვალოს ლიტერებით „ლ, მ, ნ, ო, პ, რ, ს, ტ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე მ. კუჭავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წ. 26 იანვარი, № 71

ეროვნული ბიბლიოთეკა



**17** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოს (საქართველოს სსრ ცსს) და საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების დებულების დამატების შესახებ**

„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის № 152 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (საქართველოს სსრ ცსს) და საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 მაისის № 377 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ვ" ქვეპუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წლიური და კვარტალური საბუღალტრო ანგარიშების შემუშავება, პირველადი დოკუმენტებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წიგნების ფორმების შემუშავება და კოლმეურნეობებისათვის დაგზავნა, კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევა საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესლის გამოყოფის აღრიცხვა.

2. მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის აბზაცის ბოლოში მიემატოს სიტყვები: „აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რესპუბლიკის მიხედვით ნაკრები და ცალკეული რაიონების მიხედვით წლიური ანგარიშები".

ეთხოვოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დააკისროს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რესპუბლიკის მიხედვით ნაკრები და ცალკეული რაიონების მიხედვით წლიური ანგარიშების შედგენა.

3. მე-13 მუხლის „გ" ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წლიური და კვარტალური საბუღალტრო ანგარიშების დამუშავება და კოლმეუ-

რნეობებისათვის დახმარების გაწევა საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში“.

4. დაემატოს მე-20 მუხლს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი „ბ“:

„ბ) კოლმეურნეობათა წლიური და კვარტალური საბუღალტრო ანგარიშების მიღება და დამუშავება და მათთვის დახმარების გაწევა საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში“.

ამის შესაბამისად შეიცვალოს მე-20 მუხლის დანარჩენი ქვეპუნქტების ლიტერები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქოჩიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 26 იანვარი, № 72

## 18 „საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულების“ ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 იანვრის № 45 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 იანვრის № 45 დადგენილება „სახელმწიფო პენსიების დანიშვნის და გაცემის წესის შესახებ დებულების 166-ე მუხლის შეცვლისა და მოქალაქეთა მიერ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში შრომითი წიგნაკების ასლების და საწარმოო დახასიათებათა წარდგენის გაუქმების თაობაზე“ დაეგზავნოს შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხელმძღვანელოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საქმეს რესპუბლიკაში, შეისწავლოს და განაზოგადოს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები;

მოამზადოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის წინადადებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობის საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის;

ბ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს ამ პროექტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) შეიმუშავებს შესაბამისად — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგენს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, აგრეთვე მეცნიერების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების პროექტებს;

დ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო გამოკვლევები და ოპერატიული წესით მიიღებს ზომებს, რათა უსწრაფესად დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში;

ე) დაამტკიცებს რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ნუსხას და განსაზღვრავს ამ პრობლემათა გადასაწყვეტად საჭირო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ძირითად მიმართულებებსა და შინაარს; მოამზადებს წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადებებს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე, რომელთაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება ახალ აღმოჩენებთან და გამოგონებებთან დაკავშირებით;

ვ) ხელმძღვანელობას გაუწევს ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესწავლის, განზოგადებისა და პროპაგანდის საქმეს იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნას ეს მიღწევები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში; განახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათი მუშაობის მეთოდურ ხელმძღვანელობას, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემისა და უცხოეთის პერიოდული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმნის სამუშაოთა კოორდინაციას; კონტროლს გაუწევს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის მასალების გამოყენებას და მიიღებს ზომებს, რათა უსწრაფესად დაინერგოს სახალხო მეურნეობაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილება; გამოსცემს სამეცნიერო-ტექნიკურ საინფორმაციო ლიტერატურას, განიხილავს სამეცნიერო-ტექნიკური გამომცემლობების გეგმებს და მისცემს რეკომენდაციებს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ითარგმნოს ქართულ ენაზე უცხოეთის პერიოდული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა;

ზ) განიხილავს წინადადებებს იმის შესახებ, რომ მოეწყოს რესპუბლიკაში ახალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, რათა შემდგომ წარუდგინოს ეს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს;

თ) განსაზღვრავს ფულადი და მატერიალური რესურსების ყველაზე რაციონალურ მიმართულებას და გამოყენებას იმ ასიგნობებისა და ფონდების ფარგლებში, რომლებიც რესპუბლიკას გამოეყოფა სამეცნიერო გამოკვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განვითარებისათვის; მოამზადებს წინადადებებს იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი უნიკალური მოწყობილობით, აპარატურითა და ხელსაწყოებით; განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ გამოყენებულ იქნან დადგენილი წესით გამოყოფილი ფულადი და

მატერიალური საშუალებანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩასატარებლად;

ი) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილავს იმ სპეციალობათა მიხედვით სამეცნიერო კადრების მომზადების საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტასთან, მოაწყობს ამ კადრების აღრიცხვას და შეიმუშავებს ღონისძიებებს სამეცნიერო კადრების მომზადების გაუმჯობესებისა და მათი უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის;

კ) ხელმძღვანელობას გაუწევს მისდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის საქმიანობას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობას, აგრეთვე იმისათვის მზადებას, რომ ნაჩვენები იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასა და სხვა გამოფენებზე.

ს ა ი დ უ მ ლ ო.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო გამოკვლევათა ჩატარების და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, სამეცნიერო კადრების მომზადების დავალებებს; მოისმინოს აღნიშნულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებანი ამ საკითხებზე; აძლიოს შეფასება უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო გამოკვლევათა ჩატარების სამუშაოთა შედეგებზე; აწარმოოს ამ სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენების სისწორის შემოწმება.

ბ) მიიღოს კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, სამინისტროებისა და უწყებებისათვის სავალდებულო დადგენილებანი;

გ) შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან,

დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოები; მოაწყოს სამეცნიერო-ტექნიკური კომისიები და საექსპერტო ჯგუფები, რათა შემუშავებულ და განხილულ იქნას წინადადებანი ცალკეულ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტასთან, აგრეთვე ახალ აღმოჩენებთან და გამოგონებებთან;

დ) მონაწილეობა მიაღებინოს გამოჩენილ მეცნიერებსა და სპეციალისტებს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური კომისიებისა და საექსპერტო ჯგუფების მუშაობაში;

ე) კომიტეტზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად მიიღოს:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან, სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან — სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის გეგმები, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და მეცნიერების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და განაწილების გეგმები, ცნობები რესპუბლიკაში აღნიშნული გეგმების შესრულებისა და სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის მიერ ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ, მოხსენებანი მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობის შესახებ და წინადადებანი მათი განვითარების მიმართულებათა შესახებ;

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან (მოქმედი ანგარიშგების მაჩვენებლების ფარგლებში) — საანგარიშო მონაცემები წარმოების სახელმწიფო გეგმების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვის გეგმების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მეცნიერების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების შესრულების შესახებ, სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შესახებ; ცნობები სამეცნიერო კადრების არსებული რაოდენობისა

და მომზადების შესახებ და სხვა სტატისტიკური მონაცემები და მასალები, რომლებიც საჭიროა ახალი ტექნიკის გეგმების შესადგენად.

საიდუმლო;

ვ) დაავალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომ მათდამი დაქვემდებარებულმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებმა და საწარმოებმა შეიმუშაონ სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები, ჩაატარონ საცდელ-სამრეწველო სამუშაოები და გამოკვლევები, რათა შემოწმებულ იქნას ცალკეული წინადადებანი მეცნიერების განვითარებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შესახებ, აგრეთვე წინადადებანი, რომლებიც წამოიჭრება ახალ აღმოჩენებთან და გამოგონებებთან დაკავშირებით;

ზ) მისცეს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს სავალდებულო მითითებანი შეწყვიტონ ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლებსაც არა აქვთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აგრეთვე შეწყვიტონ მათი დაფინანსება;

თ) განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებანი ისეთ სადავო საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება საქართველოს სსრ სამეცნიეროკვლევით დაწესებულებებსა, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებს შორის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების პროცესში;

ი) მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები და თათბირები მეცნიერებისა და ტექნიკის პრობლემების განსახილველად.

საიდუმლო.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი მოიზიდავს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის გეგმების შემუშავებისა და განხილვისათვის, მონაწილეობას მიაღებინებს მათ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოებისა და კომისიების მუშაობაში, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების პროპაგანდის ორგანიზაციის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი პრობლემების განსახილველად და სამეცნიერო გამოკვლევათა ძირითადი მიმართულებების დასადგენად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან არსებობს სამეცნიერო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე — კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ან კომიტეტის წევრი; სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სამეცნიერო საბჭოს წევრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნები, ცალკეულ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოების თავმჯდომარეები, გამოჩენილი მეცნიერები და სპეციალისტები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგების მიხედვით, წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელები, აგრეთვე სწავლული მდივანი.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო; კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, კომიტეტის წევრები თანამდებობის მიხედვით — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება კოლეგია სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეამოწმებს მათს შესრულებას; დაამტკიცებს დებულებებს სამეცნიერო საბჭოს, უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოების, კომიტეტის განყოფილებებისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების შესახებ; დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომიტეტის აპარატის და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკებს, დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

## 21 აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 დეკემბრის № 1155 დადგენილება „აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ" დაევალოს შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დამტკიცდეს საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული ნუსხა იმ მუშაკთა თანამდებობებისა, რომლებიც დაჯილდოებულ უნდა იქნან აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა, მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. **შირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 17 თებერვალი, № 109

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 17 თებერვლის № 109
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**იმ მუშაკთა თანამდებობებისა, რომლებიც დაჯილდოებულ უნდა იქნან აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა, მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის:**

1. საწარმოთა მთავარი მექანიკოსები
2. საამქროებისა და უბნების მექანიკოსები
3. მოწყობილობის მონტაჟსა და დემონტაჟზე დასაქმებული მუშები
4. მეკუჭნავეები (საწყობის გამგეები)
5. შემფუთავები
6. საწყობის მუშები
7. გამსაღებელი ორგანიზაციებისა და საწარმოთა განყოფილებების უფროსები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. **შირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა ს ლ ი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
## დადგენილება № 1155
### 1961 წლის 26 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

**აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ**

აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა წახალისების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნას 1962 წლის 1 იანვრიდან დაჯილდოება:

ა) საწარმოთა, მეურნეობათა და ორგანიზაციათა მუშაკებისა — ორი კაპიკის ოდენობით აღსადგენად გამოსადეგი თვითეული ნამუშევარი საკისარისათვის, რომელიც ჩაბარდა „სოფლტექნიკის" სავაჭრო საწყობებს, ბაზებს, მაღაზიებსა და კომერციულ-სავაჭრო კანტორებს, ან სხვა მომმარაგებელ და გამსაღებელ ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან ნამუშევარი საკისარების შეგროვებას და ჩაბარებას, აგრეთვე საკისარების სარემონტო ქარხნებს;

ბ) „სოფლტექნიკის" სავაჭრო საწყობების, ბაზების, მაღაზიებისა და კომერციულ-სავაჭრო კანტორების და იმ სხვა მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანიზაციების მუშაკებისა, რომლებიც ეწევიან საკისარების შეგროვებას და ჩაბარებას, — ერთი კაპიკის ოდენობით აღსადგენად გამოსადეგი ყოველი ნამუშევარი საკისარისათვის, რომელიც მათ ჩააბარეს საკისარების სარემონტო ქარხნებს;

გ) საკისარების სარემონტო ქარხნების მუშაკებისა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა, მიღებისა და შენახვისათვის, — 0,2 კაპიკის ოდენობით თვითეული აღდგენილი საკისარისათვის.

დაჯილდოებულ უნდა იქნან იმ საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებას, მიღებას, შენახვასა და ჩაბარებას.

იმ მუშაკთა თანამდებობების ნუსხებს, რომლებიც დაჯილდოებულ უნდა იქნან აღსადგენად გამოსადეგი საკისარების შეგროვებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის, დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით.

2. აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა, მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის მუშაკთა დაჯილდოება წარმოებს:

საწარმოებში, მეურნეობებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ ნამუშევარი საკისარების ჩაბარებას, — იმ თანხების ხარჯზე, რომლებიც მიღებულია აღსადგენად გამოსადეგი ჩაბარებული საკისარებისათვის.

„სოფლტექნიკის" სავაჭრო საწყობებში, ბაზებში, მაღაზიებსა და კომერციულ-სავაჭრო კანტორებში და სხვა მომმარაგებელ და გამსაღებელ ორგანიზაციებში, რომლებიც ეწევიან ნამუშევარი საკისარების შეგროვებასა და ჩაბარებას, — საკისარების სარემონტო ქარხნებისაგან მიღებულ თანხებს შორის და იმ თანხებს შორის განსხვავების ხარჯზე, რომლებიც მომხმარებლებს მიეცათ აღსადგენად გამოსადეგი საკისარების ჩაბარებისათვის.

საკისარების სარემონტო ქარხნებში — აღდგენილი საკისარების თვითღირებულების ხარჯზე.

3. დაწესდეს, რომ მუშაკთა დაჯილდოება აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა, მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის წარმოებს კვარტალში ერთხელ. იმ პრემიის საერთო თანხა, რაც ერთ მუშაკს უნდა მიეცეს ამ დადგენილების შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს თვეზე გაანგარიშებით თვიური თანამდებობრივი განაკვეთის ან სატარიფო განაკვეთის ერთ მეოთხედს.

აღსადგენად გამოსადეგი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა, მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის პრემიები გაიცეს იმ პრემიების დამოუკიდებლად, რომლებიც ეძლევათ სხვა გადაწყვეტილებების შესაბამისად და პრემიების დაწესებული მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით, აგრეთვე საწარმოში, მეურნეობასა და ორგანიზაციაში ხელფასის ფონდის ხარჯვის მდგომარეობის დამოუკიდებლად.

4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ორი კვირის

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოებისა და დამზადების გადიდების ზომების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 დეკემბრის № 747 დადგენილების მე-5 მუხლის ქვეპუნქტი „გ".

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1326 დადგენილების მე-4 მუხლის დამატებით ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 10 დეკემბრის № 1568 დადგენილების მე-13 მუხლის ქვეპუნქტი „ბ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 24 თებერვალი. № 128

## 24 კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების, ლითონისა და ლითონის ნაკეთობათა მიყიდვის მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 თებერვლის № 153 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს აცნობონ ყველა კოლმეურნეობას, რომ მეცხოველეობისა და საწარმოო სადგომების მშენებლობაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა, რომ 1962 წლის 1 მარტიდან კოლმეურნეობებს საშენი მასალები, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა, ლითონი, მილები, ლითონის ნაკეთობანი, ხე-ტყის მასალა, სამშენებლო დეტალები და ხისაგან დამზადებული კონსტრუქციები, სტანდარტული სახლები და ლაქსაღებავის პროდუქცია მიეყიდება საბჭოთა მეურნეობებისათვის მოქმედ საბითუმო ფასებში დაწესებული ფასნამატით.

2. აღნიშნული მასალებისა და ნაკეთობათა მიყიდვა კოლმეურნეობებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“.

3. შენარჩუნებულ იქნას მოქმედი წესი წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და სამეურნეო დანიშნულების სხვა საქონლის მიყიდვისა კოლმეურნეობებისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის — ცეკავშირის სავაჭრო ქსელის მეშვეობით.

4. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას ოცი დღის ვადაში გადასცეს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემიდან, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ მიიღოს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული მასალებისა და ნაკეთობათა ნაშთები, რომლებიც გამოყოფილია კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად, აგრეთვე ამ მასალებისა და ნაკეთობათა 1962 წლის ფონდები.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოეყოს „საქსოფლტექნიკას“ საჭირო საბრუნავი სახსრები საქონელბრუნვის გადიდებასთან დაკავშირებით.

6. დაევალოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ცეკავშირის გამგეობას და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადაეცეს და რა პირობებში გადაეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემიდან გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ შესაბამისი ბაზები, აგრეთვე მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი, იმ მუშაკთა პერსონალური განაკვეთების ჩათვლით, რომელიც „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში გადადიან.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ სახალხო მეურნეობის 1962 წლის გეგმის მაჩვენებლებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 24 თებერვალი, № 130

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 25 ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბების საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და კეთილმოწყობისათვის სახსრების ხარჯვისადმი კონტროლის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საბინაო ორგანოები ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების ნაწილს ხარჯავენ მეორეხარისხოვან სამუშაოებზე და არადანიშნულებით, ხოლო რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში კეთილმოწყობისათვის გამოყოფილ სახსრებს იყენებენ ისეთ ღონისძიებებზე, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ქალაქების კეთილმოწყობასთან.

გამოვლინებულია, რომ ქ. თბილისში საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრებით წარმოებდა სამხედრო კომისარიატებისა და მილიციის ორგანოების შენობათა კაპიტალური რემონტი, აგრეთვე კერძო სახლმფლობელთა იმ სახლების ფასადების შეღებვა და შეკეთება, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის მთავარ ქუჩებში.

ქალ. ბათუმში ეს სახსრები ხმარდებოდა ახალმშენებლობასთან დაკავშირებით ასაღები სახლების ღირებულების გადახდას და ადმინისტრაციული შენობების შეკეთებას; ქ. ცხინვალსა და ჭიათურაში საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილ სახსრებს იყენებდნენ ახალი საბინაო მშენებლობისათვის, საბავშვო ბაღზე სადგომის მიშენებისათვის, ნაპირსამაგრი ღონისძიებებისა და საყრდენი კედლის მშენებლობისათვის.

ქალაქ სამტრედიაში კეთილმოწყობისათვის განკუთვნილი სახსრებით ინახავდნენ შტატგარეშე ერთეულს თვეში 50 მანეთის განაკვეთით. რაიონული ცენტრის რემონტისა და კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე ქარელისა და ბოლნისის რაიონებში შეძენილი იყო ხე-ტყე და სხვა მასალები ადგილობრივი მეურნეობის კომბინატების სამრეწველო საწარმოებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) აღმოფხვრან საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და ქალაქების, რაიონული ცენტრების და დაბების კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯვის საქმეში გა-

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

მოვლინებული დარღვევები და მკაცრად დასაჯონ დამნაშავე პირები, შემდეგში სისტემატურად ჩაატარონ ასეთი შემოწმება და მათი შედეგები განიხილონ თავიანთ სხომებზე.

მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის აპრილში;

ბ) გააძლიერონ საბინაო ორგანოებისა და ადგილობრივი მეურნეობის კომბინატების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა იმ სახსრების დანიშნულებით ხარჯვის საქმეში, რომლებიც გამოყოფილია ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის;

გ) საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის გაუმჯობესების სამუშაოები დაუკავშირონ ქალაქების რეკონსტრუქციის გეგმებს, არ დაუშვან სახსრების ხარჯვა იმისათვის, რომ შეუერთონ წყალსადენებსა და საკანალიზაციო ქსელს ძველი სახლები, რომლებიც განკუთვნილია ასაღებად;

დ) მიიღონ ზომები, რათა აღმოიფხვრას ზედმეტობა ქალაქების კეთილმოწყობისათვის სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში;

ე) არ დაუშვან საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვა მიმდინარე (შიგასაბინაო) რემონტზე, რომელიც მობინადრეთა ხარჯზე უნდა წარმოებდეს;

ვ) კონტროლი გაუწიონ შენობების, ნაგებობების ან ცალკეული კონსტრუქციების დაშლისაგან მიღებული მასალების აღრიცხვას და მათი გამოყენების სისწორეს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს:

ა) სისტემატურად განიხილოს კოლეგიის სხდომებზე ადგილობრივი მეურნეობის კომბინატებისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილებების ხელმძღვანელთა მოხსენებები იმ სახსრების გამოყენების საკითხებზე, რომლებიც განკუთვნილია რესპუბლიკის საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და ქალაქების, რაიონული ცენტრების და დაბების კეთილმოწყობისათვის;

ბ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუნალური და საბინაო ორგანოებისადმი საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და ქალაქების, რაიონული ცენტრების და დაბების კეთილმოწყობისათვის სახსრების დაგეგმვისა და გამოყენების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიღებულ იქნას ცნობად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ე. მელაძის განცხადება, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა კომუნალური საცხოვრებელი ფონდისა და კეთილმოწყობის ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა საკითხები და განახორციელა საჭირო ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 თებერვალი, № 138

ნ. 30/206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 370.